ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტალინის დედის მოგონებები

• შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან •

F 21.016
2

სტალინის ღეღის მოგონებები

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტალინის დედის მოგონებები

რედაქტორი: მერი ნებიერიძე
დიზაინერი: ია მახათაძე
ყდის დიზაინერი: ნათია კვარაცხელია
დამკაბადონებელი: გიორგი კევლიშვილი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
თბილისი, 2012

© სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, 2012
ყველა უფლება დაცულია

K65.812

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
დავით აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი
ტელ: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: **info@sulakauri.ge**

ISBN 978-9941-15-585-7

The Memoirs of Stalin's Mother

Bakur Sulakauri Publishing, Tbilisi 2012
© The Archive of The Ministry of Internal Affairs of Georgia, 2012
All Rights Reserved.

Bakur Sulakauri Publishing
150 David Agmashenebeli ave.
Tbilisi Georgia

www.sulakauri.ge

Printed in Bilnet Printing Company Turkey/Istanbul

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია უნიკალური დოკუმენტები საბჭოთა საქართველოს პარტიული და უშიშროების ორგანოების საქმიანობის შესახებ. ეს მასალები იძლევა მდიდარ ინფორმაციას საბჭოთა რეპრესიული სისტემის შესახებ. საქართველოში დღეს ეს არქივები სრულიად ღიაა საზოგადოებისათვის, რაც იშვიათი მოვლენაა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

გთავაზობთ სტალინის დედის – ეკატერინე (კეკე) ჯუღაშვილის მოგონებებს, რომელიც ჩაიწერეს კეკეს გარდაცვალებამდე 2 წლით ადრე, 1935 წელს. ეს მოგონებები 70 წელზე მეტხანს ინახებოდა არქივში და დღეს პირველად ქვეყნდება. ჩანაწერი დაცულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივში, ფონდი 8, აღწერა 2, საქმე 15.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მკვლევრებისთვის, როგორც იქნა, ხელმისაწვდომი გახდა სტალინის დედის, ეკატერინე (კეკე) გელაძე-ჯუღაშვილის კარნახით ჩაწერილი მოგონებები, რომლებიც ნახევარ საუკუნეზე მეტხანს საქართველოს კომუნისტური პარტიის არქივში ინახებოდა. ამ უჩვეულო და მოულოდნელად აღმოჩენილი წყაროს წყალობით სტალინის ბიოგრაფებმა შეძლეს, შეევსოთ და დაეზუსტებინათ ზოგიერთი ისეთი ინფორმაცია, რომელიც სხვა, ხშირად არასანდო წყაროებიდან იყო ცნობილი. ავტორი ერთადერთ ცოცხლად გადარჩენილ ვაჟზე უზომო სიყვარულით საუბრობს, მის წარუმატებელ მამას, საკუთარ მეუღლეს, ბესო (ბესარიონ) ჯუღაშვილს კი წყრომით იხსენიებს. მოგონებები შთამბეჭდავი სიმარტივითა და პირდაპირობით მოგვითხრობს (ავტორის მიერ) დაოჯახების შემდეგ გადატანილ გასაჭირსა და საოცარ ძალისხმევაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა მისი ვაჟი, სოსო, ბავშვობაში სასტიკად ავადმყოფობას არ ემსხვერპლა და სასულიერო სასწავლებელში განათლება მიეღო. ეს უნიკალური, უაღრესად ღირებული და ამაღელვებელი ტექსტი ახლა უკვე ხელმისაწვდომია და მკვლევრებს ანალიზისა და დაფიქრების საშუალებას აძლევს.

ქეთევან (ეკატერინე) გელაძე, რომელსაც მეგობრები და ახლობლები კეკეს ეძახდნენ, 1856 და 1860 წლებს შორის დაიბადა. მისი მშობლები, გლახა და მელანია, გორის მახლობლად, ღამბარეულის დასახლებაში ცხოვრობდნენ. ადრე ამილახვრების ყმები ყოფილან, მაგრამ ბატონებისთვის ველარ გაუძლიათ, ბავშვებთან ერთად სოფელ სვენეთიდან გაქცეულან და ღამბარეულში დასახლებულან. ჭაობიანი და ცივი ღამბარეული საცხოვრებლად ცუდი ადგილი იყო, მაგრამ გლახასთვის, რომელიც თავს მექოთნეობით ირჩენდა, აყალო თიხით მდიდარ ადგილას ცხოვრება მოხერხებული იყო. კეკეს ციება და თავის ტკივილი აწუხებდა. მალე მამა გარდაეცვალა და დედამ ქალიშვილი და ორი ვაჟი, გიორგი (გიო) და სანდალა (სანდრო), მარტომ აღზარდა.* ღონიერი ბიჭები ოჯახის მარჩენალები გახდნენ: სანდრომ კალატოზობა დაიწყო, გიო კი მამის კვალს გაჰყვა და მექოთნეობას მიჰყო ხელი. გელაძეები სომეხი მებატონეების, ღამბაროვების

* „საარქივო მოამბე", 1 (2008 წლის აპრილი), გვ. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებაღეებადაც მუშაობდნენ. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ცვლა დედამ ოჯახით გორში გადასახლება გადაწყვიტა. ნათესავმა, მათე ნარიაშვილმა, აჩუქა პატარა მიწის ნაკვეთი, სადაც ბიჭებმა, მეზობლებისა და ნათესავების დახმარებით, პატარა სახლი ჩადგეს. სახლი მდებარეობდა ქალაქის ღარიბულ ნაწილში, რუსისუბანში, რომელსაც ეს სახელი იქვე მდებარე რუსული ჯარის ყაზარმების გამო დაერქვა. რუსისუბანში ბევრი ოჯახი მიწურში ცხოვრობდა, რომლის არსებობა მიწიდან ამომავალი კვამლით თუ შეიმჩნეოდა. გელაძეებმა კი, ნათესავებისა და ახლად შეძენილი მეგობრების დახმარებით, რიგიანი სახლის აშენება მოახერხეს, რომელსაც ფანჯრებიც ჰქონდა და ირგვლივ მიწის ნაკვეთიც ეკვროდა. ახალ საცხოვრებელ ადგილას კეკე გამოჯანმრთელდა და სანდომიან ყმაწვილ ქალად იქცა. დედამ კეკესა და მის ძმებს წერა-კითხვა ასწავლა. მაშინ ქართველ ქალებში წერა-კითხვის ცოდნა იშვიათობა იყო, მაგრამ კეკემ განათლების ფასი იცოდა და მოგვიანებით წიგნის სიყვარული ვაჟიშვილსაც ასწავლა.* მალე კეკეს მაჭანკლებიც

---

* თბილისის გუბერნიაში წერა-კითხვა ქალების მხოლოდ 29 პროცენტმა იცოდა (ქალაქში მცხოვრები ქალების 27-მა პროცენტმა და სოფლად მცხოვრები ქალების 2-მა პროცენტმა). [`Первая всеобщая перепись населения Российской империи~, 1897 г. Под редакцией Н.А.Тройницкого. Общий свод по империи результатов разработки данных первой всеобщей

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუჩნდნენ. ლამაზ, „გამხდარ, წაბლისფერთმიანი და დიდრონთვალება“ (მისი აღწერის მიხედვით) ყმაწვილ ქალს სიმპათიური ახალგაზრდა კაცი, მოხდენილულვაშიანი ბესო გააცნეს. გიოს ბესო სასიძოდ მოსწონდა და კეკეს მასზე დაქორწინება ურჩია. კეკემ ტირილი დაიწყო, მაგრამ შინაგანად, როგორც თავად აღიარებს, გახარებული იყო, რადგან გორელ გოგონებს ბესო ძალიან მოსწონდათ და როცა კეკე ამ სიმპათიურ ყმაწვილ კაცს ცოლად გაჰყვა, მისი ძალზე შეშურდათ. 1874 წლის 17 მაისს, ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის კეკემ და ბესომ ჯვარი დაიწერეს და ყარაჩოღელის შესაფერისი ქართული ტრადიციული ქორწილი გადაიხადეს (ყარაჩოღელები ხელოსნები და წვრილი მოვაჭრეები იყვნენ და სიმამაცით, რაინდობითა და დროსტარების სიყვარულით გამოირჩეოდნენ).* წყვილის მეჯვარეები მათი მეგობრები, იაკოფ ეგნატაშვილი და მიხა ციხითათრიშვილი იყვნენ.

переписи населения, произведенной 28 января 1897 г. (Санкт-Петербург: 1905), 2 ტომად, გვ. xii]

* А. Островский, „Кто стоял за спиной Сталина“ (Санкт-Петербург: „Нева“; Москва, „Олма-пресс“, 2002), გვ. 88; Вл. Каминский и Ив. Верещагин, „Детство и юность вождя“, გვ. 26; Иосиф Гришашвили, „Литературная богема старого Тбилиси“ (Тбилиси: „Мерани“, 1977), გვ. 13. ეს უკანასკნელი ქართული წიგნის – „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ (თბილისი, 1927) – თარგმანია, რომელიც თბილისის ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე დანერილი ლექსებისა და ეთნოგრაფიული მასალის უნიკალური კრებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუღაშვილები რუსისუბანში, შუა საუკუნეებში აგებულ გორის ციხესთან ახლოს დასახლდნენ. პატარა სახლში ერთოთახიანი ბინა იქირავეს. თავიდან ბედნიერი ოჯახი ჰქონდათ. ბესო მუშაობდა და თანდათან წარმატებას აღწევდა. ჯანმრთელი და ღონიერი კაცი იყო და გორში საუკეთესო მეწაღის სახელი ჰქონდა გავარდნილი.* მალე ბესომ სომეხი აღოპ ბარსამოვის სახელოსნოში მუშაობას თავი დაანება და საკუთარი სახელოსნო გახსნა.** ვინაიდან თბილისსა და რუსეთში ფეხსაცმლების უმეტესობა უფრო დიდ სახელოსნოებსა და ფაბრიკებში იკერებოდა, ბესოს მსგავსი დამოუკიდებელი ხელოსნები უფრო ხშირად ფეხსაცმლის შეკეთებით იყვნენ დაკავებულნი. საქმე კარგად მიდიოდა და ბესომ შეგირდებიც აიყვანა. ოჯახი შეძლებულად ცხოვრობდა და, როგორც ერთი მათი ნაცნობი აღნიშნავდა, „სახლში კარაქი ყოველთვის ჰქონდათ. ბესოს

---

* Мария (Машо) Кирилловна Абрамидзе-Цихитатришвили, „Воспоминания о семье Виссариона Джугашвили", სშსსამგ [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, მე-2 განყოფილება]; საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივი, იხსენიებდნენ რუსული ინიციალებითაც ГФ-ИМЛ (Грузинский Филиал Института Марксизма-Ленинизма), ფონდი 8, აღწერა 2, ტომი 1, საქმე 1, გვ. 143. მარიამ აბრამიძე-ციხითათრიშვილი გორში იყო დაბადებული და გლახა გელაძის ოჯახს იცნობდა.

** Вл. Каминский и Ив. Верещагин (составители), „ Детство и юность вождя - документи, записи, рассказы", „Молодая гвардия", № 12 (1939), გვ. 24-25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა ეთაკილებოდა".* კეკე დედა-ეკლესიაში
რეგულარულად დადიოდა ეკლესიაში და ოჯახსაც
კარგად არჩენდა.** როცა ცოლ-ქმარს პირველი შვილი
გაუჩნდა, ბესო სიხარულით ცას ეწია, მაგრამ ორი
კვირის შემდეგ პატარა მიხეილი დაიღუპა და დამ-
წუხრებულმა მამამ სმა დაიწყო. ორი წლის შემდეგ
მეორე ვაჟი, გიორგიც დაეღუპათ, რამაც ბესო კიდევ
უფრო დაანაღვლიანა. მას გერის წმ. გიორგის ხატის
ძალის მტკიცედ სწამდა, ამიტომ გერის მონასტერში
მოსალოცად წავიდა და წმინდა გიორგის, მესამე
შვილის ცოცხლად გადარჩენის შემთხვევაში, ცხვრის
მსხვერპლად შეწირვა აღუთქვა.*** ბესოსთვის, ისევე
როგორც ბევრი ქართველისა და სომეხისთვის, რწმე-
ნა ისეთ უძველეს წარმართულ ტრადიციებთან იყო
დაკავშირებული, როგორებიცაა ცხოველების მსხ-
ვერპლად შეწირვა და ნატვრის ხის მორთვა, რასაც
თან ეკლესიის უფრო ოფიციალური რიტუალებიც
ერთვოდა. კეკეს დედა ოჯახის უილბლობის მიზე-
ზების გასაგებად მკითხავებთან დადიოდა და ერთ-
ერთი მკითხავის სანახავად ყარალაჯშიც კი ჩავიდა.

---

* А. Островский, „Кто стоял за спиной Сталина", გვ. 93; დავით გასიტაშვილის მოგონებები, სშსსამგ, ფონდი 8, აღწერა 2, ტომი 1, საქმე 8, გვ. 196, 200.

** ეკატერინე გიორგის ასული ჯუღაშვილი, „ჩემი მოგონებანი", სშსსამგ, ფონდი 8, აღწერა 2, ტომი 1, საქმე 15, გვ. 7.

*** იქვე., გვ. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1878 წლის 6 დეკემბერს ცოლ-ქმარს მესამე ვაჟი, იოსები შეეძინა, რომელსაც სოსოს ეძახდნენ. მის დაბადებას ოჯახი მღელვარებით ელოდა. ამჯერად გადაწყვიტეს, ბავშვი ეგნატაშვილს აღარ მოენათლა, რომელიც პირველი ორი ვაჟის ნათლია იყო. მის ნაცვლად ბავშვის მონათვლა ოჯახის ახლო მეგობრის, მარიამის მეუღლეს, მიხა ციხითათრიშვილს მიანდეს.* იმის შიშით, რომ ბავშვი მოუნათლავი არ მომკვდარიყო, ნათლობა სასწრაფოდ ჩატარდა. კეკეს დედამ პატარა სოსოს კისერზე წმ. გიორგის შანა ჩამოჰკიდა და ბესოს გერის წმ. გიორგისათვის აღთქმული შესაწირავი შეახსენა. მოგვიანებით, როცა ბავშვი ავად გახდა, ცოლ-ქმარმა წმ. გიორგისთვის მიცემული აღთქმა გაიხსენა და, სოსოს გადასარჩენად, გერის წმ. გიორგის ეკლესიის მოსალოცად წავიდა. ხალხი ფიქრობდა, რომ ბავშვს ავი სული დაეპატრონა და მალე დაიღუპებოდა. სოსო ძალზე სუსტი და გამხდარი ბავშვი იყო და სულ ავადმყოფობდა. როცა კეკე სახლში არ იყო, ძუძუს მარიამ ციხითათრიშვილი აწოვებდა. მარიამს საკუთარი შვილიც ჰყავდა, სანდრო, რომელსაც, საჭიროებისამებრ, კეკეც აწოვებდა ძუძუს.** სოსოს

---

* Мария (Машо) Кирилловна Абрамидзе-Цихитатришвили, „Воспоминания о семье Виссариона Джугашвили", სშსსამგ, ფონდი 8, აღწერა 2, ტომი 1, საქმე 1, გვ. 144.

** იქვე.

ხორცი არ უყვარდა და მხოლოდ ლობიოს ჭამდა. მისი პირველი სიტყვა „დუნდალა“ იყო და ყველა ბრჭყვიალა საგანს „დუნდალას“ ეძახდა. ერთხელ სოსოს ენა ჩაუვარდა და ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეძლო, როცა შეშინებული მშობლები გერის ეკლესიის მოსალოცად მეორედ წავიდნენ. სალოცავში ცხვარი დაკლეს და მღვდელს პარაკლისი გადაახდევინეს. როდესაც მღვდელი ერთი თეთრებში ჩაცმული ქალისთვის ლოცვებს კითხულობდა, პატარას შეეშინდა და „ავი ანგელოზისაგან“ თავის დასაცავად დედას გულში ჩაეკრა. სოსო ძალზე მგრძნობიარე ბავშვი იყო. როცა მამას მთვრალს დაინახავდა, კეკეს ეხუტებოდა და სთხოვდა, ბესოს დაძინებამდე თავი მეზობლის სახლისთვის შეეფარებინათ, რომ ნასვამი დედას ცუდად არ მოპყრობოდა. სოსო თანდათან განმარტოებას შეეჩვია და თანატოლებთან ხშირად აღარ თამაშობდა. გორელ ბიჭებს „არსენაობას“ თამაში უყვარდათ, რომელიც არსენას (სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ყაჩაღი, სახალხო გმირი, ერთგვარი ქართველი რობინ ჰუდი) საგმირო საქმეებს განასახიერებდა. პატარა სოსომ მოითხოვა, მისთვის კითხვა ესწავლებინათ, არსენას ცხოვრებაზე დაწერილი პოემის წაკითხვა რომ შესძლებოდა.*

---

* ეკატერინე გიორგის ასული ჯუღაშვილი, „ჩემი მოგონებანი“, სშსსამგ, ფონდი 8, აღწერა 2, ტომი 1, საქმე 15, გვ. 10-13.

ქართულ საზოგადოებაში ცხოვრებას თავისი სიამეები და ვალდებულებები ახლდა. საზოგადოებაში, რომელიც თავს საკვების სიუხვითა და სტუმარმასპინძლობით იწონებდა, ჯუღაშვილები მოკრძალებულად ცხოვრობდნენ. ყოველდღიურ საკვებს ლობიო, მოხარშული კარტოფილი, ბადრიჯნით ან ბოსტნეულით შეკმაზული დაკეპილი ხორცი და ხახვიანი ლავაში წარმოადგენდა. გორელების უმეტესობას ქალაქგარეთ ხეხილის ბაღი ან ვენახი ჰქონდა, მაგრამ ჯუღაშვილების საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის არსებობის დამადასტურებელი ცნობა არც ერთ წყაროში არ მოიპოვება.* ბესო ტრადიციული ქართული სამოსით – ჩოხით (გრძელსახელოიანი, წელში გამოყვანილი და ბოლოში განიერი ქურთუკი) დადიოდა, მაგრამ თავზე, მუშების უმეტესობის მსგავსად, რუსული ქუდი ეხურა. მისი მეუღლე კი, მართალია, „სხვებზე ღარიბი იყო, მაგრამ ძველ ქართულ ტრადიციულ სამოსს – გრძელსახელოიან ლურჯ კაბასა და ტრადიციულ თავსაბურავს, ჩიხტს ატარებდა“.** კეკეს ნაცნობები აღნიშნავდნენ, რომ ის, თავისი პატიოსნებითა და სინაზით, ქართვე-

---

* გორის ისტორიისა და წეს-ჩვეულებების შესახებ ბევრ სასარგებლო ინფორმაციას შეიცავს ბუხნიკაშვილის „გორი: ისტორიული ნარკვევი“.

** Iremaschwili, Stalin und die Tragödie Georgiens, გვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მანდილოსნის იდეალს განასახიერებდა. ეს იდეალი თავდაპირველად მაღალი საზოგადოების ქალებთან ასოცირდებოდა, მაგრამ მე-19 საუკუნეში საერთო ეროვნულ იდეალად იქცა. ქართველი ქალი მოხდენილი და, სექსუალური თვალსაზრისით, პასიური უნდა ყოფილიყო, ქორწინებამდე ქალწულობა უნდა შეენარჩუნებინა, სახლი სულ დალაგებული ჰქონოდა და ნებისმიერ დროს მზად უნდა ყოფილიყო სტუმრების სათანადოდ მისაღებად.* ქართულ საზოგადოებაში ქალის ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციად ვაჟების აღზრდა მიიჩნეოდა.** ქართველი პატრიოტები ამას ერის მიმართ ვალდებულების აღსრულებად მიიჩნევდნენ. თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ლექსში – „ქართველის დედას“ – ქართველი პატრიოტი პოეტი ილია ჭავჭავაძე წერდა: „აქ არის, დედავ, შენი მაღალი დანიშნულება და საღმრთო ვალი! აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს, საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, შთააგონებდე კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, – რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს“... სტალინი ქართველი ქალის იდეალს

---

* Yochanan Altman, „A Reconstruction, Using Anthropological Methods, of the Second Economy of Soviet Georgia,“ dissertation, Centre of Occupational and Community Research, Middlesex Polytechnic, 1983, მეოთხე თავი, გვ. 9.

** Iremaschwili, Stalin und die Tragödie Georgiens, გვ. 8-11.

დიდ პატივს სცემდა და კდემამოსილება ქალისმოწესეობ-
ვარ სამკაულად მიაჩნდა. ქალიშვილი, სვეტლანა
ალილუევა, იხსენებს, რომ ის და მამა ხშირად კამა-
თობდნენ, რადგან სვეტლანა სანიმუშო ქართველი
ქალის იდეალს არ შეესაბამებოდა. ერთხელ სტალი-
ნი ძალიან გაბრაზებულა, როდესაც შვილმა საკუ-
თარი ფოტო აჩუქა, რომელზეც ფართოდ გაღიმე-
ბული სახით იყო გამოსახული. „სახეზე კადნიერი
გამომეტყველება გაქვს," – სწერდა სვეტლანას
მამა, – „ადრე ქალები კდემამოსილები იყვნენ და
ეს ძალიან უხდებოდათ"...*

...დროთა განმავლობაში ბესომ სმას უმატა,
ახალი წყვილი ფეხსაცმლის შეკერვის აღსანიშნა-
ვად თავის კლიენტებთანაც კი სვამდა. ბოლოს
სახელოსნოზე ხელი სულ აიღო. როცა სოსო ხუთი
წლისა იყო, ბესო, როგორც მაშინ ხშირად ხდებოდა
ხოლმე, ოჯახის გარეშე საცხოვრებლად თბილისში
გადავიდა და ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრი-
კაში, თავის ძველ სამსახურში დაიწყო მუშაობა.
ბესოს „პროლეტარიზაცია" შეიძლება სოციალურ
კიბეზე ჩამოქვეითებად ჩანდეს, მაგრამ, სავარაუ-
დოდ, თბილისში უფრო მაღალ და სტაბილურ
ანაზღაურებას იღებდა. ხელოსნები ფეხსაცმლის
მექანიზებულ წარმოებას ეფექტურ კონკურენციას
ველარ უწევდნენ. ბესოს თავისი ახალი სამსახური

---

* Светлана Аллилуева, „Только один год", გვ. 320.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწონდა და, კეკეს წინააღმდეგობის მიუხედავად, ვაჟსაც ფაბრიკაში მუშაობას აძალებდა. სურდა, სოსოსთვის თავისი ხელობა ესწავლებინა, მაგრამ კეკეს მიაჩნდა, რომ მის ქმარს კარგად მუშაობა აღარ შეეძლო და სოსოს დახმარება ამიტომ სჭირდებოდა. სოსომ მცირე ხანს თბილისში შეგირდად იმუშავა, მაგრამ ექვსი წლის ბავშვს ყვავილი შეეყარა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა.

ამ დაავადებამ კავკასიაში ბევრი ბავშვის სიცოცხლე შეინირა; იაკოფ ეგნატაშვილს სამი შვილი ერთ დღეს დაეღუპა. ბესოს და კეკეს ეშინოდათ, რომ ავადმყოფობას მათი ერთადერთი ვაჟიც არ ემსხვერპლა. სოსოს სამი დღის განმავლობაში მაღალი სიცხე ჰქონდა, აბოდებდა და მოითხოვდა, მისთვის კუჭატნელი ეჩვენებინათ, რომელმაც სახალხო გმირი, არსენა ოძელაშვილი მოკლა. სოსოს ბებიამ საბანში მუთაქა გაახვია და ბიჭს უთხრა, რომ მასში არამზადა კუჭატნელი იწვა. „ – ესეც შენ!“ – შესძახა სოსომ, ბალიშს ორჯერ წიხლი ჩასცხო და მუხლებში ჩაიკეცა.* მეოთხე დღეს წითელი გამონაყარი და ბებერები გაუჩნდა. სამი დღის შემდეგ გამონაყარი დაჩირქდა და მომდევნო ათი დღის განმავლობაში მასზე ქერქი ჩამოყალიბდა, რომლის გაცვენის შემ-

---

* ეკატერინე გიორგის ასული ჯუღაშვილი, „ჩემი მოგონებანი“, სშსსამგ, ფონდი 8, აღწერა 2, ტომი 1, საქმე 15, გვ. 10-13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ ბიჭს სახეზე ღრმა ნაყვავილარი დარჩა. სოსო, მართალია, ცოცხალი გადარჩა, მაგრამ სახეზე ნაყვავილარი ეტყობოდა.

მშობლებს სოსო თავისებურად, მაგრამ ძალიან უყვარდათ. ის დამოუკიდებელი ბავშვი იყო და მშობლებს არ უჯერებდა. „დედა რომ დაუძახებდა, თუ მოსვლა არ სურდა, თამაშს აგრძელებდა ხოლმე“.**

К 65.812 2

კეკემ შვილი მამისგან წამოიყვანა და გამოაჯანმრთელა. სოსოს მომავლის გამო მშობლები მძაფრად იყვნენ დაპირისპირებულნი, მაგრამ, როგორც ირემაშვილი და სხვები იგონებენ, ბავშვი მუდმივად დედის მხარეზე იყო. ბესო რამდენჯერმე შეეცადა, შვილი თავისთან წაეყვანა. სოსოს კერვის ნიჭი აღმოაჩნდა და მამამისი ამტკიცებდა, რომ ის მეწაღეების ამქრის სიამაყე გახდებოდა. კეკემ კამათში ნათესავები, მეგობრები და, ბოლოს, სოსოს მასწავლებლებიც კი ჩარია. დამარცხებულმა ბესომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და სოსოს წაყვანაზე ხელი აიღო. შვილი მეუღლეს დაუთმო, მაგრამ მოსთხოვა, კარგად ეკვება და მოეძღიერებინა. მამას, რომელსაც სურდა, მისი შვილი მუშა გამო-

---

* Мария (Машо) Кирилловна Абрамидзе-Цихитатришвили, „Воспоминания о семье Виссариона Джугашвили“, სშსსსმგ, ფონდი 8, აღწერა 2, ტომი 1, საქმე 1, გვ. 144.

** იქვე., გვ. 143ბ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიყო, არაფერი გაუვიდა დედასთან, რომელსაც
გადაწყვეტილი ჰქონდა, მისთვის ესწავლებინა და
მღვდელი გამოეყვანა. არსებითად, დედის არჩევანი
შვილისას დაემთხვა.

გალოთებული ქმრისგან თავის დასაღწევად და
შვილის მისგან მოსარიდებლად კეკე საცხოვრებ-
ლად ძმების სახლში გადავიდა. ბესომ ცოლს ორჯერ
სთხოვა, ოჯახში დაბრუნების საშუალება მიეცა,
მაგრამ კეკემ შერიგებაზე უარი უთხრა. მას ბესოს-
თან აღარაფერი ესაქმებოდა.* ძმები და ეგნატაშ-
ვილი ცდილობდნენ, კეკე ეიძულებინათ, დათ-
მობაზე წასულიყო. გიო ოჯახის დანგრევაში მას
ადანაშაულებდა და საყვედურობდა, რომ სოსოს
საშუალებას არ აძლევდა, მენაღე გამოსულიყო. გიო
ეუბნებოდა, რომ ქმრის გარეშე ყოფნა სირცხვილი
იყო და ურჩევდა, სახელს გაფრთხილებოდა. მაგრამ
კეკეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ სოსოს
სკოლაში ევლო. ძმა ერთი კვირა ხმას არ სცემდა,
მაგრამ მტკიცე ხასიათის ქალს უკან არ დაუხევია.**
გაყრის პროცესი დიდხანს გაგრძელდა და არასასია-
მოვნო ინციდენტები სოსოს ყმაწვილობის წლებშიც
ხდებოდა. ცოლ-ქმარი ერთმანეთისთვის გაუცხოვ-

---

* А. Островский, „Кто стоял за спиной Сталина", გვ. 103-105.

** ეკატერინე გიორგის ასული ჯუღაშვილი, „ჩემი მოგონებანი", სშსსამგ, ფონდი 8, აღწერა 2, ტომი 1, საქმე 15, გვ. 26-28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ხანდახან ბესო სოსოსთვის ფულს აგზავნიდა და ოჯახში დაბრუნებას ცდილობდა. ამის მიუხედავად, შვილსა და მამას შორის კავშირი მანამდე დიდი ხნით ადრე გაწყდა, სანამ ბესო ოჯახიდან სამუდამოდ წავიდოდა. ეს დაახლოებით 1890 წელს მოხდა, როცა სოსო თერთმეტი წლის იყო.

რადგან ძმები გაყრას ეწინააღმდეგებოდნენ, კეკე საცხოვრებლად ახლობელი მღვდლის, ქრისტეფორე ჩარკვიანის სახლის მეორე სართულზე გადავიდა, თუმცა ქმრისგან თავის მთლიანად დახსნა მაინც ვერ მოახერხა. დაახლოებით ამავე პერიოდში სოსომ დედას წერა-კითხვის სწავლება სთხოვა. დედისა და ბებიის დიდი ხნის სურვილი იყო, ბიჭი სასულიერო სასწავლებელში მიებარებინათ. ისინი აღტაცებაში მოდიოდნენ, როდესაც გორში თბილისიდან ჩასულ ეპისკოპოსებს ზარების რეკვით ხვდებოდნენ. ბესოს კი შვილის სკოლაში მიბარება სირცხვილად, წარუმატებლობად და დროის ფლანგვად მიაჩნდა და სურდა, ბიჭს ხელობა შეესწავლა. ქმრის სურვილის საწინააღმდეგოდ, კეკემ ჩარკვიანის შვილებს, რომლებსაც შვიდი წლის სოსო ძალიან უყვარდათ, ვაჟისთვის წერა-კითხვის სწავლება სთხოვა და უთხრა: „შვილებო, მარტო ის მინდა, რომ ჩემი შვილი წერა-კითხვის უცოდინარი არ დარჩეს; თქვენს გახარებას, ჩემს შვილს ანბანი ასწავლეთ, რომ ცხოვრებაში არ დაიჩაგროს და გზა გაიკვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიოს". ჩარკვიანის შვილები სოსოს წერა-კითხვას ბესოს უჩუმრად ასწავლიდნენ, მას შემდეგ, რაც ის სამსახურში წავიდოდა, თუმცა ბესო ყველაფერს მიხვდა და გაბრაზებული ჩარკვიანის შვილებს დაემუქრა, ატირებულ სოსოს ხელი მოჰკიდა და სახელოსნოში ძალით წაიყვანა. მაგრამ აქაც კეკეს სიმტკიცემ თავისი გაიტანა. ცოტა ხნის შემდეგ ჩარკვიანის შვილებმა გაკვეთილები განაახლეს. ხანდახან სოსო სწავლისგან იღლებოდა და ჩარკვიანების უმცროსი ქალიშვილის თოჯინით თამაშს ამჯობინებდა.* წლების შემდეგ, როცა სოსო უკვე გორის სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასის მოსწავლე იყო, მეგობარ გ. ელისაბედაშვილს სიცილით უამბო, თუ როგორ უყვარდა მღვდლის ქალიშვილი.**

სოსო მუყაითი მოწაფე გამოდგა. კეკე წერს, რომ მან მთელი „დედა ენა", რომელიც დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოა, ერთ კვირაში შეისწავლა.

კეკეს სურდა, შემცირებული შემოსავლის შესავსებად მცხობლად ან მკერავად ემუშავა, მაგრამ ბესო მეუღლეს სახლის გარეთ მუშაობას უკრძა-

---

* Котэ Чарквиани, „Воспоминания", სშსსამგ, ფონდი 8, აღწერა 2, ტომი 1, საქმე 54, გვ. 202-205.

** Г. Елисабедашвили, „Воспоминания", ი.ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, ფონდი 3, ტომი 1, საქმე 1955-146, გვ. 6-7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავდა. ოჯახს ჩარკვიანები ეხმარებოდნენ და ყველანაირად მხარში უდგნენ. ეგნატაშვილის ცოლი, მარიამი, პროდუქტით სავსე კალათებს უგზავნიდა.*

კეკე ოცნებობდა, რომ სოსოს სემინარიაში ჩაებარებინდა და მღვდელი გამოსულიყო, მაგრამ მაშინ დაწყებით სასულიერო სასწავლებელში მხოლოდ სასულიერი პირების შვილებს იღებდნენ. სოსო მისაღებ გამოცდებზე რომ დაეშვათ, მღვდელმა ჩარკვიანმა ბესო დიაკვნად გამოაცხადა. ბავშვმა გამოცდები ბრწყინვალედ ჩააბარა და, რადგან ასაკით უკვე დამწყები კლასის მოწაფეებზე უფროსი იყო, საშუალო კლასში ჩაირიცხა.**

მარტო დარჩენილმა კეკემ, რომელიც ჩარკვიანების, ეგნატაშვილებისა და სხვა მეგობრების დახმარებაზე იყო დამოკიდებული, კერვა დაიწყო და მცირე ხნით სოსოს თანატოლის, სოსო დავრიშევის მამის, პოლიციის პრეფექტ დამიან დავრიშევის ოჯახში მუშაობდა. ადგილობრივი სემინარიის რუსი რექტორი, ბელიაევი მას სარეცხს უგზავნიდა და კარგ გასამრჯელოს აძლევდა. როდესაც დებმა, დარეჯან და ლიზა კულიჯანოვებმა სამკერვალო გახსნეს, კეკემ მათთან დაიწყო მუშაობა და მომ-

* ეკატერინე გიორგის ასული ჯუღაშვილი, „ჩემი მოგონებანი", სშსსამგ, ფონდი 8, აღნერა 2, ტომი 1, საქმე 15, გვ. 19.

** იქვე., გვ. 12-17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევნო ჩვიდმეტი წლის მანძილზე ატელიეში კაბებს კერავდა.

კეკე იმ დროისათვის უჩვეულო ქართველი ქალი იყო, ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა და მამაკაცის გარეშე ცხოვრება არ აშინებდა. მოკრძალებულობითა და ღრმად მორწმუნეობით ცნობილი კეკე სულ შვილის კეთილდღეობაზე ფიქრობდა. ის ძალზე ღვთისმოშიში იყო. ერთხელ, როცა სოსო ჯერ კიდევ პატარა იყო, მშობლებს ეკლესიაში საზამთროს საკურთხებლად წაყოლაზე უარი უთხრა, გაჯიუტდა და ადგილიდან არ იძვროდა. როცა მშობლები სახლში დაბრუნდნენ და სადილობა დაიწყეს, სოსომ ოთახში შემოიხედა და მიაძახა: „ფინთებო!“ ყველას გაეცინა. შემდეგ მაგიდასთან დასვეს და მთლიანი საზამთრო წინ დაუდეს, მაგრამ ბავშვი ორპირ ქარში დგომისაგან ავად გამხდარიყო და გონება დაკარგა.*

სტალინის ქალიშვილმა, სვეტლანა ალილუევამ, რომელმაც 60-იან წლებში თავშესაფარი დასავლეთში ითხოვა, ბებიაზე საინტერესო მოგონებები შემოგვინახა. ის იხსენებს, რომ მამამისს დედა ძალიან უყვარდა და დიდ პატივს სცემდა:

„ბებია ძალზე მორწმუნე იყო და ოცნებობდა, რომ მისი ვაჟი მღვდელი გამოსულიყო. ის სიცოცხლის ბოლომდე მორწმუნედ დარჩა და როცა მამამ

* იქვე., გვ. 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ინახულა, ეუბნება, რა ცუდია, მღვდელი რომ არ გამოხვედი. მაშა ამ სიტყვებს მონონებით იმეორებდა ხოლმე; მოსწონდა დედის დამცინავი დამოკიდებულება ყველაფერ იმისადმი, რასაც მიაღწია – ამქვეყნიერი დიდებისა და ფუსფუსისადმი...“*

მართალია, კეკე ღარიბი იყო, მაგრამ კერვით ნაშოვნი ფულით შვილს კარგად აცმევდა. სოსოს ერთ-ერთი მეგობარი იხსენებს, რომ მას კარგი ფეხსაცმლები და სქელი შალის პალტო ეცვა და კეკეს მოქსოვილი ზამთრის ქუდი ეხურა.** სოსოს ტახტზე ეძინა და როცა იმდენად გაიზარდა, რომ მასზე აღარ ეტეოდა, კეკემ ტახტი ფიცრებით დაუგრძელა. ერთხელ სოსოს მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეების სახლებში პერიოდულად დადიოდნენ ხოლმე, მის სანახავად წვიმიან ამინდში მივიდნენ და ნახეს, რომ სოსო და დედამისი ოთახის კუთხეში მიყუჟულიყვნენ, რომ სახურავიდან ჩამომდინარი წყლით არ დასველებულიყვნენ.*** სტალინი დედამისს უსწავლელ, მაგრამ გონიერ ქალად თვლიდა. კეკე ძლიერი ნებისყოფითაც გამოირჩეოდა. „ის 1937 წელს, დაახლოებით 80 წლის ასაკში გარდაიცვა-

---

* Светлана Аллилуева, „Двадцать и писем“, გვ. 145.

** „Неопубликованные материалы“, გვ. 19.

*** „Воспоминания о Сталине тов. С. Гогличидзе“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა", – იხსენებს ალილუევა. – „მამამ მისი ხელოვნება ძალიან განიცადა და შემდეგ მასზე ხშირად საუბრობდა ხოლმე".*

მიუხედავად იმისა, რომ სოსოს დედა, შესაძლოა, ცოლის ქართულ იდეალს სრულად არ შეესაბამებოდა და ქმარს არ ემორჩილებოდა, ის ნამდვილად იყო ძლიერი და პრინციპული ქალი. სტალინის მამა კი ქართველი კაცის იდეალის, „კაცური კაცის" კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდა. ამ გამოთქმაში ქართველები უშიშარ, მტკიცე ხასიათის, საკუთარი აზრის გამტან კაცს გულისხმობენ, რომელიც გარკვეული ფარული აგრესიულობითაც გამოირჩევა. ასეთი კაცი ტანმაღალი, მხარბეჭიანი და ძლიერი უნდა იყოს და ოჯახის, მეგობრებისა და სამშობლოს ერთგულებით ხასიათდებოდეს. ამასთან, ალკოჰოლურ სასმელებსაც კარგად უნდა იტანდეს. ბესო ქართველი კაცის ამგვარ იდეალს ბევრად ჩამოუვარდებოდა. ოჯახის უდავო უფროსს, ნამდვილ მამაკაცს ღირსებას მორჩილი ცოლი სძენდა. ბესოს კი ოჯახში საკმარისი ავტორიტეტი არ ჰქონდა, რადგან ოჯახში ფულის შემოტანა, უხვი მასპინძლობის გაწევა აღარ შეეძლო, თანაც გადამეტებულად ლოთობდა და თავს ვეღარ აკონტროლებდა. მეტოქეობას ძლიერი ნებისყოფის მეუღლე უწევდა. ბესო ჯუღაშვილი, სოციალური

* Светлана Аллилуева, „Двадцать и писем", გვ. 145.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კულტურული თვალსაზრისით, წარუმატებელი პიროვნება გახლდათ.

სტალინის ბიოგრაფები, ირემაშვილითა და ტროცკით დაწყებული, ბევრს წერენ იმაზე, რომ სტალინის პათოლოგიებმა თავი იმ დროიდან იჩინა, როცა მამა სცემდა, თუმცა კეკე ჯუღაშვილი თავის მოგონებებში შვილის ცემის ფაქტებს არ ახსენებს. აღნიშნავს მხოლოდ ბესოს მიერ ცოლის შეურაცხყოფას, რასაც სოსო ძალიან განიცდიდა. პირველი მოგონებების წიგნში სვეტლანა ალილუევა იხსენებს, რომ მამამისის თქმით, ბესო კი არა, დედა სცემდა, პაპის სისასტიკეზე კი მხოლოდ მეორე წიგნში – „ერთი წლის შემდეგ" – საუბრობს:

„ხანდახან [მამა] თავის ბავშვობაზე მიყვებოდა. ამ ღარიბ, ნახევრად წერა-კითხვის უცოდინარ ოჯახში, რომლის უფროსიც ლოთობდა, ჩხუბი და უხეშობა ჩვეულებრივი ამბავი იყო. დედა პატარა ბავშვს სცემდა, ქმარი კი – ცოლს. მაგრამ ბავშვს დედა მაინც უყვარდა და მას ექომაგებოდა; ერთხელ მამამისისთვის დანაც კი უსვრია. [მამამისი] მას ყვირილით გამოჰკიდებია და [ბიჭი] მეზობლებს თავიანთ სახლში დაუმალავთ".* დამიან დავრიშევის ვაჟი, სოსო იხსენებს, რომ ბესომ პოლიციის პრეფექტს თავისი ცოლის „ცუდი საქციელის" შესა-

* Светлана Аллилуева, „Двадцать и писем", გვ. 313; Twenty Letters, გვ. 360.

ხებ შესჩივლა, კეკე კი ჩიოდა, რომ ქმარი სცემდა და ჯამაგირს ეგნატაშვილის დუქანში ხარჯავდა. სოსო დავრიშევის თქმით, ბესომ მამამისის მოკვლაც კი სცადა, რადგან ეჭვი ჰქონდა, რომ სოსო მისი შვილი იყო. პოლიციელს არშემდგარი მკვლელის წინააღმდეგ საქმე არ აღუძრავს, მაგრამ ბესოს, რომელსაც ქალაქში „გიჟი ბესოს" სახელით იცნობდნენ, გორიდან წასვლა მოუხდა.*

შეუძლებელია დადგინდეს, გამოიწვია თუ არა რაიმე კონკრეტული პათოლოგია ბესოს მიერ შვილის ცემამ, ან რამდენად მძაფრად განიცდიდა სტალინი მამის მოპყრობას. სოსო ისეთ ოჯახში იზრდებოდა, რომელშიც მამის ტრადიციულ პატრიარქალურ ავტორიტეტს დედის დაუმორჩილებლობა არღვევდა, რომელიც ქალის მორჩილების ლამის წმინდად მიჩნეულ ტრადიციას ეწინააღმდეგებოდა. როლების ასეთმა შეცვლამ ბიჭზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. როგორც ალილუევა მოგვითხრობს, სტალინი დედის ცემის გამო ნაწყენი არ იყო:

„ხანდახან მიყვებოდა, როგორ სცემდა მას დედამისი და როგორ სცემდა დედამისი მამამისს, რომელიც ლოთობდა. ბებიას მკაცრი და მტკიცე ხასიათი ჰქონდა და ეს მამას მოსწონდა. ის ადრე დაქვრივდა და კიდევ უფრო მკაცრი გახდა... ბებიას

---

* Davrichewy, Ah! Ce qu'on rigolait bien avec mon copain Staline, გვ. 27, 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი პრინციპები ჰქონდა – მორწმუნე, ერთგული, მკაცრი, პატიოსანი და ღირებული ცხოვრებისა იცხოვრა. მისი სიმტკიცე, სიჯიუტე, საკუთარი თავის მიმართ სიმკაცრე, პურიტანული მორალი და მამაკაცური მტკიცე ხასიათი – მამას ყველა ეს თვისება გადაეცა. ის დედას უფრო ჰგავდა, ვიდრე მამას".*

რელიგია, უფრო კონკრეტულად კი მართლმადიდებლური სარწმუნოება, სოსოს ბავშვობაში მთავარ როლს თამაშობდა. კეკე ჯუღაშვილს უარი არასოდეს უთქვამს თავის ოცნებაზე, რომ მისი შვილი მღვდელი გამოსულიყო, მას შემდეგაც კი, რაც ის მსოფლიოს ყველაზე ვრცელი ქვეყნის საერო ავტოკრატი გახდა. როცა სოსოს მასწავლებელმა, ს. გოგლიჩიძემ კეკეს შესთავაზა, ბიჭი სასულიერო სასწავლებლიდან ადგილობრივ პედაგოგიურ ინსტიტუტში გადაეყვანა, საიდანაც მას შეეძლო სწავლა გიმნაზიაში ან უნივერსიტეტში გაეგრძელებინა, კეკემ მადლობა გადაუხადა, მაგრამ უარი უთხრა.** ერთ დღეს, როცა სოსო დაწყებით სკოლას ამთავრებდა, დედამისს შესჩივლა, რომ, სავარაუდოდ, თბილისის სემინარიაში სწავლის

---

* Светлана Аллилуева, „Двадцать и писем", გვ. 145, 189. ბოლო წინადადება მხოლოდ წიგნის ინგლისურ გამოცემაში გვხვდება. [Svetlana Allilueva, Twenty Letters to a Friend (New York: Harper & Row, 1967), გვ. 204.]

** „Воспоминания о Сталине тов. С. Гогличидзе".

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრძელებას ვერ შეძლებდა. იმ წელს სემინარიაში მოსწავლეებმა არეულობა მოაწყვეს, რის შემდეგაც სამინარიის ხელმძღვანელობამ ბევრი მოსწავლე გარიცხა და გადაწყვიტა, მომდევნო წლიდან მხოლოდ სასულიერო პირების შვილები მიეღოთ. კეკემ სოსო დააიმედა, რომ სემინარიაში ჩასარიცხად ძალ-ღონეს არ დაიშურებდა. სოსო გორის სასულიერო სასწავლებლის საუკეთესო მოწაფე იყო. კეკემ მასწავლებლებს მისი კარგი აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი ცნობები გამოართვა და, ამ ცნობებით აღჭურვილი, სოსოსთან ერთად თბილისში ჩავიდა.*

თბილისი გორისგან ძალზე განსხვავებული ქალაქი იყო. პატარა გორში ხალხი ერთმანეთს ახლოს იცნობდა და უფრო წარმატებული მეზობელი ნაკლებად წარმატებულ თანამოძმეზე პასუხისმგებლობას გრძნობდა. ობლებს მეზობლები შეიფარებდნენ ხოლმე და მშიერი არავინ რჩებოდა. დაკრძალვას გარდაცვლილის ახლობლებთან ერთად უცნობებიც ესწრებოდნენ და ქელეხზე ქვრივისთვის ფული იკრიბებოდა.** თბილისში კი ახალჩამოსულ ადამიანს საკუთარ თავზე თავად

---

* ეკატერინე გიორგის ასული ჯუღაშვილი, „ჩემი მოგონებანი", სშსსამგ, ფონდი 8, აღწერა 2, ტომი 1, საქმე 15.

** Davrichewy, Ah! Ce qu'on rigolait bien avec mon copain Staline, გვ. 65-66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ეზრუნა, თავშესაფარი ეშოვა, სამეგობრო-
ნრე შეეძინა და თავისი სოფლიდან ჩამოსულ-
ახალმოსახლეებს დაკავშირებოდა. კავკასიაში
მეგობრების, ნათესავებისა და ნაცნობების ყოლა
წარმატების მიღწევის აუცილებელ წინაპირობას
წარმოადგენდა; კანონებს მეორეხარისხოვანი მნიშ-
ვნელობა ჰქონდა, უფლებები არ არსებობდა, ფული
კი საქმეს აადვილებდა. გორთან შედარებით, სადაც
მეზობლები ერთმანეთის ახლობლები იყვნენ, დიდ
ქალაქში ფული ადამიანს მეტ სტატუსს ანიჭებ-
და და შესაძლებლობებს უხსნიდა, ტრადიციული
წეს-ჩვეულებები, ღირსებისა და კეთილშობილური
საქციელის შესახებ არსებული ძველი წარმოდგენე-
ბი კი მეორე პლანზე გადადიოდა.

თბილისის საზოგადოება სხვადასხვა ეთნიკური
და კლასობრივი შრისგან შედგებოდა. სოციალ-
ური კიბის სათავეში რუსი მოხელეები იდგნენ,
რომელთაც სათავეში მეფისნაცვალი ან გენერალ-
გუბერნატორი ედგა. მათი თანაბარი პოლიტიკური
ძალაუფლება თუ არა, ანალოგიური სოციალური
სტატუსი გააჩნდათ ქართველ დიდგვაროვნებს,
ანუ აზნაურობას. რამდენიმე რუსი თავადისა და
ქართველი მაგნატების გარდა, ქალაქის უმდიდრეს
მაცხოვრებლებს სომეხი ფაბრიკანტები წარმოად-
გენდნენ, რომლებიც დიდ სახლებსა და საავად-
მყოფოებს აშენებდნენ და სკოლებს მფარველო-
ბას უწევდნენ. მაღაზიებში და დახლებზე მოვაჭრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომეხ ვაჭრებს კონკურენციას მოხეტიალე კინტოები უწევდნენ. კინტოები თაღლითი მეწვრილმანეები იყვნენ, რომლებიც საკუთარ საქონელს სიმღერების თანხლებით ყიდდნენ: „– Помидоры, красивые помидоры" („– პომიდვრები, ლამაზი პომიდვრები").* ამ ხმაურიან და კოლორიტულ გარემოში, თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე, ქართული ენა რუსულს, სომხურსა და აზერბაიჯანულს ეჯიბრებოდა და პატარა ბავშვებმაც კი საჭირო სიტყვები რამდენიმე ენაზე იცოდნენ. ინგლისელმა მოგზაურმა ჯეიმს ბრაისმა ამ ქალაქის აურზაური და ფუსფუსი სოსოს იქ ჩასვლამდე თვრამეტი წლით ადრე იხილა და მისი ეგზოტიკური მრავალფეროვნებით მოიხიბლა:

„თბილისში ადამიანზე შთაბეჭდილებას ქალაქში სანახავი ადგილები კი არა, თავად ქალაქი ახდენს, რომელიც უამრავი ერის, ენის, რელიგიისა და წეს-ჩვეულებების საოცარ ნაზავს წარმოადგენს. ამ ქალაქის ხასიათს ის გამოხატავს, რომ მას ერთი კი არა, უამრავი განსხვავებული ხასიათი აქვს. აქ ეს ხალხები გვერდიგვერდ ცხოვრობენ, ყიდულობენ, ყიდიან და შრომობენ, თუმცა ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში არ შედიან, ერთმანეთის მიმართ გულგრილი რჩებიან. მათ

* მამაჩემი, გიორგი (გურგენ) სუნი, კინტოების სიმღერებზე ხშირად მიყვებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთი არც უყვართ და არც სძულთ.

სოციალური კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ ხელოსნები და ქარხნის მუშები. ისინი სოფლიდან სარჩოს საძიებლად ჩამოსული გლეხები იყვნენ, რომლებიც ქალაქის მზარდი ეკონომიკის პირობებში მომრავლებულ მაღაზიებსა და ქარხნებში მუშაობდნენ.

1894 წლის ზაფხულში სოსო და დედამისი თბილისში გაემგზავრნენ. თხუთმეტი წლის სოსო ახალი ცხოვრებისთვის კარგად იყო მომზადებული, მაგრამ, როგორც დედამისი იგონებს, მატარებელი თბილისს რომ მიუახლოვდა, სოსომ ტირილი დაიწყო, ეშინოდა, მამამისს არ დაენახა და სახელოსნოში სამუშაოდ ძალით არ წაეყვანა. დედას უთხრა, ერჩივნა, თავი მოეკლა, ვიდრე მენაღე გამოსულიყო. კეკე თავადაც ნერვიულობ-

---

* James Bryce, Transcaucasia and Ararat: Notes of a Vacation Tour in 1876 [3rd edition] (London: Macmillian and Co., 1878), გვ. 155-156. ბრაისი (1838-1922) – ინგლისელი ისტორიკოსი და დიპლომატი; იგი იყო ავტორი წიგნისა – „ამერიკის თანამეგობრობა" (1888). მოგვიანებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრიტანეთის ელჩად მსახურობდა (1907-1913). როგორც ვისკონტ ბრაისი, ის გახლდათ პასუხისმგებელი რედაქტორი წიგნისა – „სომეხთა მოპყრობა ოტომანთა იმპერიაში 1915-16 წლებში: საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის, ფალოდონის მიერ ვისკონტ გრეისთვის წარდგენილი დოკუმენტები" (1916), რომელიც პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ოტომანთა მიერ სომეხთა დეპორტაციისა და ხოცვა-ჟლეტის შესახებ ბრიტანეთში გამოცემული მთავარი მამხილებელი დოკუმენტი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რომ ბესოს არ დაენახა და ჩხუბი არ ასტეხა. ამ შემთხვევაში, მზად იყო, ეყვირა და საშველად პოლიციისთვის მოეხმო. ამის მიუხედავად, კეკემ შვილი დააწყნარა და უთხრა, რომ მის თავს არავის გაატანდა. ისინი თბილისში დილით, დაახლოებით 11 საათზე ჩავიდნენ. ბესო არსად ჩანდა და სოსო ქალაქით ძალიან მოიხიბლა.* კეკეს ბინის დასაქირავებლად საკმარისი ფული არ ჰქონდა, მაგრამ ნათესავებისთვის დახმარების თხოვნის გარეშე მაინც გამონახა სახლი ანჩისხატის ძველ უბანში. დიასახლისს, ახალგაზრდა სომეხ ქალს, ოჯახი დროებით საცხოვრებლად სოფელში გაეგზავნა. კეკე ამ ქალს დაუმეგობრდა. ქალს მიაჩნდა, რომ გორიდან ჩამოსულმა სტუმარმა იღბალი მოუტანა, რადგან მისი ჩამოსვლის მერე მალე გათხოვდა. დიასახლისი იმდენად მადლიერი იყო კეკეს კეთილი ანგელოზის მიერ მოტანილი ბედისა, რომ ოთახის ქირაც არ გამოართვა და ტრადიციული კავკასიური თავსაბურავიც (ლეჩაქი) კი აჩუქა.**

ახლა კეკეს ისეთი ვინმე უნდა ეპოვა, ვინც სოსოს თბილისის სემინარიაში ჩარიცხვაში დაეხმარებოდა. გაჭირვებით მიაკვლია შორეულ ნათესავს, კატო ანარიაშვილს, რომლის მეზობელი მღვდელი

---

* ეკატერინე გიორგის ასული ჯუღაშვილი, „ჩემი მოგონებანი", სშსსამგ, ფონდი 8, აღნერა 2, ტომი 1, საქმე

** იქვე. გვ. 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაგუნავაც სემინარიაში „ეკონომად“ მუშაობდა და გავლენიანი ნაცნობები ჰყავდა. კეკემ და კატომ დახმარებისთვის ჩაგუნავას ცოლს, მაკას მიმართეს და სოსოს ნიჭიერებაში დაარწმუნეს. მაკამ მათ ქმართან უშუამდგომლა. ბიჭი ჩაგუნავასაც მოეწონა და ისტორიკოსსა და ეთნოგრაფთან, თედო ჟორდანიასთან მიიყვანა. მათ ერთად იზრუნეს, რომ სოსო გამოცდებზე დაეშვათ. კეკემ, რომელსაც საბნების საუკეთესო მკერავის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მაკას სიკეთე საბნების შეკერვით გადაუხადა და ამ სამსახურისთვის გასამრჯელო არ გამოურთმევია.* ამგვარად, კეკე ტიპური კავკასიელის შესაფერისად მოიქცა – ნათესავები, მეგობრები, საჩუქრები გამოიყენა და შვილს სასწავლებელში ჩარიცხვაში დაეხმარა.

სოსომ მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა და ნაწილობრივი სახელმწიფო დაფინანსებაც მოიპოვა. ახლა უკვე სემინარიელი იყო და სემინარიის ფორმის ყიდვა გახდა საჭირო. კეკე ფულის საშოვნელად მაშინვე გორში გაემგზავრა, მაგრამ მალე შეატყობინეს, რომ სოსო, გამოცდებზე მიღებული კარგი ნიშნების გამო, სახელმწიფოსგან სრულ დაფინანსებას მიიღებდა. გოგლიჩიძე, რომელიც გორის სასწავლებელში მისი მასწავლებელი იყო, იგონებს, რომ ვინაიდან ჯუღაშვი-

* იქვე, გვ. 32-33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს თბილისში პატარა სოსოს საცხოვრებლით უზრუნველყოფა არ შეეძლოთ, თედო ჟორდანიამ ის სკოლის ხელმძღვანელობას საერთო საცხოვრებელში მიაღებინა, გადასახადს კი სახელმწიფო სტიპენდიით დაფარავდნენ.* ამით ჯუღაშვილებს 100 მანეთი დაეზოგათ, რაც მათთვის დიდი თანხა იყო. სოსოს დედისგან მოშორებით ცხოვრება პირველად უხდებოდა, კვირაში ორჯერ წერილს სწერდა, შვილით ამაყი დედა კი ამ წერილებს გულში იკრავდა და ყოველ ღამით უამრავჯერ კითხულობდა. მოუთმენლად ელოდა შობასა და აღდგომას, როცა სოსო ორკვირიანი არდადეგების დროს სახლში ბრუნდებოდა, დედას სიყვარულით ეპყრობოდა და ჰპირდებოდა, რომ როდესმე სიღარიბისგან იხსნიდა. პირველ წელს, როცა სოსო საშობაოდ სახლში დაბრუნდა, დედას თავისი ულუფიდან გადანახული შაქარი ჩაუტანა. კეკე ამ შაქარს თითქმის ერთი წლის მანძილზე იზოგავდა, რომ, როგორც თავად ამბობს, შვილის სურნელი შეეგრძნო ხოლმე. დედაშვილს ერთმანეთი ძალიან უყვარდა, მაგრამ მალე თბილისმა და სემინარიამ სოსოს ცხოვრებაზე ცუდი ზეგავლენა მოახდინა, რის შემდეგაც დედამისის ოცნებების ასრულება შეუძლებელი გახდა.**

---

* „Воспоминания о Сталине тов. С. Гогличидзе".

** ეკატერინე გიორგის ასული ჯუღაშვილი, „ჩემი მოგონებანი", სშსსამგ, ფონდი 8, აღწერა 2, ტომი 1, საქმე 15, გვ. 33-34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო კარგად სწავლობდა და სანიმუშო მოსწავ-
ლე იყო. პირველი სასწავლო წლის ბოლოს კლასში
მერვე იყო აკადემიური მოსწრების მიხედვით.
თავიდან ყმაწვილ სემინარიელს რევოლუციო-
ნერის აშკარა ნიშნები არ ეტყობოდა. ცდილობდა,
სასულიერო პირებს პატივისცემით მოპყრობოდა
და სემინარიაში სწავლით სარგებელი მიეღო.
თავად სემინარია ცალკე სამყარო იყო, რომელიც
მოსწავლეებზე დიდ ზეგავლენას ახდენდა, თუმცა
არა ისეთს, როგორიც მის სასულიერო პირებისგან
შემდგარ ხელმძღვანელობას ეწადა. სოსოს ერთ-
ერთი თანაკლასელი, დომენტი გოგოხია, რომელიც
ასევე გორიდან იყო, თავის მოგონებებში სემინარ-
იას „ქვის ტომრად" მოიხსენიებს. მასში უფერული,
მონოტონური და მკაცრად ანტიქართული გარემო
იყო შექმნილი. აღზრდის ასეთი პროცესი გონი-
ერ ახალგაზრდებს წინააღმდეგობის გაწევისკენ
უბიძგებდა. ოცდაათი წლის შემდეგ სტალინმა
თავის ბიოგრაფ ემილ ლუდვიგს სასულიერო
პირების მავნე ზეგავლენის შესახებ მოუთხრო.
მას შემდეგ, რაც ინტერვიუერმა ირიბად მიანიშ-
ნა, რომ მას რევოლუციისკენ მშობლების ცუდმა
მოპყრობამ უბიძგა, სტალინმა მავნე ზეგავლენებს
შორის სემინარია გამოყო:

„ – მართლმადიდებლური სემინარია, სადაც მე
მოგვიანებით ვსწავლობდი, კიდევ ერთი ფაქტორი
იყო. დამამცირებელი რეჟიმისა და იმ იეზუიტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი მეთოდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომლებიც სემინარიაში გამოიყენებოდა, მე მზად ვიყავი, რევოლუციონერი, მარქსიზმის, როგორც ნამდვილად რევოლუციური სწავლების, მიმდევარი, გავმხდარიყავი და გავხდი კიდეც".

ლუდვიგის კითხვაზე: „–ნუთუ თქვენ არ აღიარებთ, რომ იეზუიტებს დადებითი თვისებებიც აქვთ?" – სტალინის ირონიული პასუხი შთამბეჭდავია:

„ – დიახ, მათ მეთოდური მიდგომა ახასიათებთ და თავიანთი ნეგატიური მიზნების მიღწევას დაჟინებით ცდილობენ. მაგრამ მათი მეთოდის საფუძველს თვალთვალი, ჯაშუშობა, ადამიანის სულში ხელების ფათური და დამცირება წარმოადგენს. რა შეიძლება ამაში კარგი იყოს? მაგალითად, საერთო საცხოვრებელში მუდმივი თვალთვალი მიმდინარეობდა. დილის 9 საათზე ჩაის დასალევად სასადილოში რომ გავიდოდით, უკან დაბრუნებულებს ჩვენი ოთახი გაჩხრეკილი, უჯრები კი არეულ-დარეული გვხვდებოდა... რა შეიძლება ამაში კარგი იყოს?"*

იმ მღვდლების დიდი უმრავლესობა, რომელთა შესახებაც სტალინი საუბრობს, რუსები იყვნენ და ქართული კულტურისა და ენისადმი აშკარად გამოხატული აგდებული დამოკიდებულებით გა-

---

* И. В. Сталин, „Сочинения", XIII, გვ. 113-114.

მოირჩეოდნენ. სემინარიის რექტორმა, არქიმანდრიტმა სერაფიმემ (მეშჩერიაკოვი) ქართულს ძაღლების ენა უწოდა, რამაც მოსწავლეების პროტესტი გამოიწვია,* მისმა ზემდგომმა, საქართველოს ეგზარხოსმა, არქიეპისკოპოსმა ვლადიმირმა (ბოგოიავლენსკი) რექტორის მხარე დაიჭირა და სტუდენტებისაგან დაიცვა. სასულიერო პირები უზრუნველყოფდნენ იმ წესების დაცვას, რომლებიც სემინარიაში ქართულ ენაზე არსებული გაზეთების ან „გარეშე" ლიტერატურის გაცნობას და კითხვას კრძალავდა. ამაზე არც უნდა ესაუბრათ. ქართული ენის გამოყენება შუა საუკუნეების ძველ ქართულ ენაზე დაწერილი რელიგიური ტექსტების კითხვით შემოიფარგლებოდა და ამ შემთხვევაშიც ძნელად გასაგები ტექსტების განმარტება რუსულის მეშვეობით ხდებოდა. რამდენიმე წლით ადრე, სანამ სოსო

---

* Agursky, „Stalin's Ecclesiastical Background", გვ. 2-3. აგურსკი გულდასმით აღწერს საქართველოში მოღვაწე რუსი მღვდლების უაღრესად მემარჯვენე შეხედულებებსა და რუსულ შოვინიზმს. არქიეპისკოპოსი ვლადიმირი, რომელიც მოგვიანებით მოსკოვის მიტროპოლიტი გახდა, აგრეთვე საქართველოში მოღვაწე სხვა სასულიერო პირები – ეგზარხოსი ფლავიანი (გოროდეცკი) (1898-1901), სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი გერმოგენი (დოლგანევი) (1898-1900), მისი მემკვიდრე, არქიმანდრიტი სტეფანი (არხანგელსკი) და პროტოპრესვიტერი იოანე ვოსტორგოვი, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე საქართველოს სასულიერო სასწავლებლებს განაგებდა, რეაქციული და შოვინისტური მოძრაობის – „შავი ასეულების" – წევრები გახდნენ და „რუსი ხალხის კავშირსა" და „მთავარანგელოზ მიქაელის კავშირსაც" კი შეუერთდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სემინარიაში ჩააბარებდა, ლადო კეცხოველმა ერთ-ერთ ერთი მასწავლებელი დაიყოლია, კვირაში ერთხელ მოსწავლეებს საერო ლიტერატურა წაეკითხათ. მოსწავლეები კამათობდნენ, თანამედროვე პოეტების, აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის ლექსები წაეკითხათ, თუ მე-18 საუკუნის პოეტის, დავით გურამიშვილის ნაწარმოებები, ბოლოს კი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე" შეთანხმდნენ, მაგრამ, როდესაც მასწავლებლმა მოითხოვა, რომ პოემის განსამარტავად რუსული ენა გამოეყენებინათ, მოსწავლეებმა კენჭი ყარეს და ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ამ ექსპერიმენტზე უარი თქვეს.*

სემინარიის ერთ-ერთი რუსი მასწავლებელი იხსენებდა: „ქართველმა მოსწავლეებმა, რომლებიც რუსი რექტორებისგან მუდმივად უსამართლო და სასტიკ მოპყრობას ხედავდნენ... არა მარტო რუსული სული ვერ გაითავისეს... არამედ პირიქით, უბადრუკი რუსი ბერ-რექტორების შემყურეებმა, რუსები შეიძულეს, ყველაფერ რუსულსა და ყველა რუსს ზურგი აქციეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველა რუსი უვარგისი იყო. ამიტომ იყო, რომ ისინი ერთმანეთს უფრო მტკიცედ შეეკრნენ".** რუსიფიკატორული რეჟიმი ქართული ლიტერა-

---

* З. Г. Поракишвили, „Ладо в Тифлисской духовной семинарии" в книге „Ладо Кецховели", გვ. 121-122.

** „Из воспоминаний русского учителя Православной Грузинской духовной семинарии" (Москва, 1907), გვ. 6.

ტურითა და ტრადიციებით დაინტერესებას ვერ ახშობდა. მეტიც, სემინარიელების სუბკულტურა, რომელიც ახალგაზრდების ყმაწვილურ მეგობრობას ეფუძნებოდა და ობსკურანტისტი მღვდლებისადმი სიძულვილით ხასიათდებოდა, მკვეთრად უარყოფდა ოფიციალური რუსული კულტურის ყველაზე უარეს ასპექტებს – დოგმატიზმს, არარუსების მიმართ ქედმაღლურ დამოკიდებულებასა და მმართველი უმრავლესობის მიერ უპირატესობის შეგრძნებას. ამავე დროს, ზოგი მოსწავლე სწავლას მასწავლებლებზე სერიოზულად ეკიდებოდა, მათ მიერ დადგენილ ზღვარს არღვევდა და რუსეთის რადიკალური ინტელიგენციის საპირისპირო ტრადიციებს ითვისებდა. სწავლა აჯანყების პირველ აქტად იქცა და თვითგანათლების ამ ძალამ, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ იყო მიმართული, სოსო ჯუღაშვილის მსგავს ბევრ მოსწავლეს სტიმული მისცა, საეკლესიო მსახურების დროს აკრძალული წიგნების მალულად კითხვის ნაცვლად, პოლიტიკურ ოპოზიციასთან საკუთარი თავის ღიად იდენტიფიცირება მოეხდინათ.

სოციალური პრობლემებისადმი ინტერესი სოსოს ცხოვრების მამოძრავებელი ძალა გახდა. მისი სემინარიელი მეგობარი, სეიდ დევდარიანი იგონებს, რომ როცა სოსო მას სოფელში სტუმრად ეწვია, მთელი დღე ერთ ადგილას იჯდა და აკრძალულ წიგნს – „ინგლისელი მუშების ბრძოლა თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლებისათვის" – კითხულობდა. სეიდმა ჰკითხა, ჩანაწერებს რატომ არ აკეთებდა, რაზეც სოსომ უპასუხა, რომ საკუთარ მეხსიერებას ენდობოდა. დევდარიანი აღნიშნავს, რომ სოსოს მეხსიერება ყველას გაოცებას იწვევდა. სეიდი, რომელიც უფრო შეძლებული ოჯახიდან იყო, გორში სოსოს თავადაც ესტუმრა. კეკე ძალიან შეწუხებულა, რადგან სტუმარს ყველისა და პურის გარდა ვერაფრით გაუმასპინძლდა. „– შვილო, თავს დამნაშავედ ვგრძნობ, რომ ღვინის გარეშე ვსადილობთ", – ამოუოხრია მას. „–ალბათ, ღამით ბაღლინჯოებმა არ დაგაძინეს", შეცბუნებულ სეიდს თავისი „იმერული ზრდილობისთვის" არ უღალატია და უპასუხია, რომ ღამით კარგად ეძინა. ამ დროს საუბარში სოსო ჩარეულა და უთქვამს: „ – ვითომ არ შეწუხებულა! ბაღლინჯოებმა არ მოასვენეს და მთელი ღამე ფეხებს იქნევდა"... *

...სოსო დედას სულ უფრო იშვიათად სტუმრობდა. ეს კეკეს ძალიან აწუხებდა, განსაკუთრებით კი მაშინ შეშფოთდა, როცა გაიგო, რომ მისი შვილი მეფის წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციურ მოძრაობაში იყო ჩაბმული.

„გული გამისკდა. ბუნტი კაცი, ვიცოდი, რომ ყოველთვის დევნილი იყო. ჩემს შვილში ეპისკოპ-

---

* დევდარიანი, „სოსო სტალინი", სშსსამგ, ფონდი 8, აღწერა 2, ტომი 1, საქმე 12, გვ. 178.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოზს მოველოდი და რა ეშმაკმა შეაგონა ბუნდა კაცობა-მეთქი. ჩიხტი წამოვიდგი, გავქანდი ქალაქში. ვინახულე. გამწყრალი დამხვდა, რა მოგარბენინებდა, ან რა შენი საქმეა, რას ვიზრახავ და რას არაო. ძალიან მეწყინა მისი ასეთი მკვახე პასუხი. ასეთი რამ პირველად შემახვედრა ჩემს სიცოცხლეში. შვილო, შევბღავლე, არ დამღუპო, დედის ერთა ხარ, ნიკოლოზს შენ როგორ აჯობებ, თავი გაანებე ბუნტობას, ეგ იმათ დაუთმე, ვისაც შინ სხვა და-ძმები ეგულება-მეთქი.

სოსომ თავს დასძლია, ისევ გრძნობაზე მოვიდა, მაკოცა, დამამშვიდა, მოუტყუებიხარ, დედი, ხომ მხედავ, მე ისევ სემინარიაში ვარ, არც ვბუნტობ და არც არაფერიო. ასეთი კაცი რომ ვიყო, მეტეხში თავს გამიკრავდნენო. ეს იყო იმისი პირველი ტყუილი. ისე დაიმედებულს მომწმინდა ცრემლი და ისევ გორისკენ გამისტუმრა".*

მიუხედავად იმისა, რომ კეკე შვილის ეკლესიისგან განდგომით და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმით ძალზე იმედგაცრუებული იყო, როცა საჭირო გახდებოდა, სოსოს ყოველთვის ექომაგებოდა. მისი დაპატიმრების ამბავი რომ გაიგო, მაშინვე თბილისში გაემგზავრა. ქალაქში ბესო გადაეყარა, კეკემ მის საყვედურებს მტკიცე პასუხი გასცა.

---

* ეკატერინე გიორგის ასული ჯუღაშვილი, „ჩემი მოგონებანი", სშსსამგ, ფონდი 8, აღწერა 2, ტომი 1, საქმე 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ბესომ დაიფიცა, რომ შემარცხვენელ შვილზე შურს იძიებდა, კეკემ ასე უპასუხა: „– აგრე რად ლაპარაკობ, ეგ ნაციხარი შვილი ისევ ჩემი იყოს, ისევ მე შემარცხვინოს!"*

წლების შემდეგ, როცა სოსო ქვეყანაში ყველაზე გავლენიანი კაცი გახდა, კეკემ მილიონობით იმ თანამემამულის აღტაცება და სიყვარული მოიპოვა, რომლებიც გენერალურ მდივანს აღმერთებდნენ. სტალინმა დედა საცხოვრებლად თბილისის ცენტრში, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილი სასახლის ერთ-ერთ ოთახში გადაიყვანა. დედას წერილებს ხშირად სწერდა (შემორჩენილია 18 წერილი), ნახვას კი იშვიათად ახერხებდა. სტალინმა დედა ბოლოს, სავარაუდოდ, 1935 წლის ოქტომბერში ინახულა. კეკე შვილს კაკლის მურაბებსა და სხვა წვრილმან საჩუქრებს უგზავნიდა და მისგან მიღებულ წერილებსა და ფოტოსურათებს, განსაკუთრებით შვილიშვილის, სვეტლანას ფოტოებს, სათუთად უფრთხილდებოდა. ვებგვერდ youtube-ზე კეკეს ვიდეოკადრებიც არის განთავსებული, რომელშიც შვილისთვის მურაბას ამზადებს.**

იმ დროისთვის, როცა სტალინი ხელისუფლებაში მოვიდა, ქართულად წერა უკვე უჭირდა, დე-

---

* ეკატერინე გიორგის ასული ჯუღაშვილი, „ჩემი მოგონებანი", სშსსამგ, ფონდი 8, აღწერა 2, ტომი 1, საქმე 15.

** http://www.youtube.com/watch?v=YOroSLSYfBs

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამისმა კი რუსულად კითხვა არ იცოდა. სტალინმა – დედისთვის მიწერილი ყველაზე გრძელი წერილი 1934 მარტშია დაწერილი:

„სალამი, ძვირფასო დედა! მივიღე შენი წერილი. ასევე მივიღე მურაბა, კოჭა და ტკბილეული. ბავშვებს ძალიან გაუხარდათ და მოკითხვას და მადლობას გითვლიან. კარგია, რომ კარგად და მხნედ ხარ. მეც ჯანმრთელად ვარ, ჩემზე ნუ ინაღვლებ. ჩემს სატარებელ ტვირთს გავუძლებ. არ ვიცი, ფული გჭირდება თუ არა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, 500 მანეთს გიგზავნი. ასევე გიგზავნი ფოტოებს – ჩემსას და ბავშვებისას. თავს გაუფრთხილდი, ძვირფასო დედა. სულის სიმხნევე არ დაკარგო. გკოცნი. შენი შვილი სოსო.

24/III – 34. – ბავშვებმა მოკითხვა შემოგითვალეს. ჩემი პირადი ცხოვრება ნადიას სიკვდილის შემდეგ ძნელია, მაგრამ რას ვიზამთ, ძლიერი კაცი ყოველთვის ძლიერი უნდა დარჩეს“.*

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი, ლავრენტი ბერია და მისი მეუღლე ნინო კეკეს მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ. მის გორიდან თბილისში საცხოვრებლად გადმოყვანას ბერიამ გაუკეთა ორგანიზება. მიუხედავად იმისა, რომ კეკე ჯუღაშვილს ორი მსახური

---

* Zhores Medvedev and Roy A. Medvedev, The Unknown Stalin, trans. Ellen Dahrendorf (London: I. B. Tauris & Co., 2006), გვ. 300.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყავდა, სიცოცხლის ბოლო წლებში მოკრძალებულად ცხოვრობდა. ყველაზე უფრო ეკლესიაში სიარული უყვარდა. მან უცხოელ, მათ შორის ამერიკელ ჟურნალისტებსა და მკვლევრებს რამდენიმე ინტერვიუ მისცა, მაგრამ ბევრი არაფერი გაუმხელია, გარდა იმისა, თუ რა განსაკუთრებული ბავშვი იყო სოსო პატარაობაში.*

1937 წლის მაისში კეკეს ფილტვების ანთება დაემართა და იმავე წლის 4 ივნისს გარდაიცვალა. იმის მაგივრად, რომ ეკლესიური წესით დაეკრძალათ, როგორც მას, სავარაუდოდ, ერჩივნა, საერო წესით დაკრძალეს და კუბოს საქართველოს კომპარტიის უმაღლესი თანამდებობის პირები მიასვენებდნენ. სტალინს დედა უკანასკნელ გზაზე არ გაუცილებია, რადგან მაშინ უმაღლესი სამხედრო პირებისა და პარტიის ხელმძღვანელობის წმენდით იყო დაკავებული. კეკე მთაწმინდაზე, პატარა ეკლესიის ახლოს დაკრძალეს. მისი განსასვენებელი დიდი რუსი დრამატურგის, ალექსანდრე გრიბოედოვისა და მისი ქართველი მეუღლის, ნინო ჭავჭავაძის საფლავებთან ახლოს მდებარეობს. სტალინის დედამ ვერ შეძლო ისეთი მემკვიდრის დატოვება, როგორისაც სურვილი და იმედი ჰქონდა. მღვდლის ნაცვლად რევოლუციონერი აღზარდა, რომელმაც

* იხ. მაგალითად, Jerome Davis, Behind Soviet Power: Stalin and the Russians (New York: The Readers' Press, 1946).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე-20 საუკუნის სისხლიან ტირანთა მცირე ფანტეზიონში გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა.

რონალდ გრიგორ სუნი
მიჩიგანისა და ჩიკაგოს
უნივერსიტეტების პროფესორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკატერინე გელაძე-ჯუღაშვილის მოგონებები იოსებ სტალინზე, 1935

ჩემი თავი ღამბარეულიდან მახსოვს. ღამბარეული გორის განაპირა უბანი იყო, მთლად მოწყვეტილი ქალაქიდან, კვერნაკის კალთის ძირს მიგდებული, მტკვრის პირად.

აუარება ჭაობის გამო იგი ციებ-ცხელების ბუდედ იყო გადაქცეული. ამიტომ თავზე ხელ-აღებული უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ იქ ეცხოვრა. მაგრამ გაჭირვებას დაუდგეს თვალი, ის ყველაფერს ათმენინებს ადამიანს.

ღამბარეული ჩემი მშობლების სამშობლო არ ყოფილა. მამაჩემი გლახა, ანუ გიორგი, სვენეთე-ლი გლეხი იყო. დედაჩემი მელანია – ფლაველი. ორივენი ამილახვრიანთ ყმებად ითვლებოდნენ და მათ ემსახურებოდნენ, ვიდრე ჯვარს დაი-წერდნენ.

მამაჩემი ხელობით მეჭურჭლე იყო. ბევრს ეცადა, რომ ამილახვრიანთ გული მოეგო, მაგრამ

ბატონის უჯიათობას რომ ვერ გაუძლო, სა-
ნეთიდან გაიქცა და ცოლ-შვილით ღამბარეულს
შეაფარა თავი.

თუმცა ღამბარეული ჯანმრთელობისთვის სრულიად უვარგისი იყო, მაგრამ მამიჩემის ხელობისთვის იგი კარგი გამოდგა. აყალო თიხა აქ ბლომად მოიპოვებოდა, რაც მეჭურჭლისთვის სახარბიელო მასალას წარმოადგენს. გარდა ამისა, აქედან გორზე მისავალი გზა უფრო მარჯვე იყო.

მე მყავდა ორი ძმა – გიო და სანდალა /სანდრო/. გიომ მეაგურეობას მიჰყო ხელი, სანდალამ მეჭურჭლეობა არჩია. ძმებმა მხარი მხარს მისცეს და ოჯახი ფეხზე წამოაყენეს. მაგრამ სწორედ ამ დროს მამაჩემი ციებ-ცხელებამ შეიპყრო, თითქოს ორ წელიწადს გააკრა ლოგინზე და საშინელ ტანჯვა-წამებაში დაალევინა სული. ჩვენ დავრჩით ობლად.

ცუდმა ჰავამ და, მით უმეტეს, ცუდმა სმაჭამამ მეც და ჩემი ძმებიც გაგვლახა. ჩუმი ციება შემეპარა და იქნებ მამიჩემის გზას მეც გავეყოლებინე, თუ ერთ გარემოებას არ ვეხსენით განსაცდელისგან.

ჩვენს ბედზე ბატონყმობა გადავარდა. ეს დაუჯერებელი ამბავი გახლდათ. მაგრამ მაინც ზარის ხმასავით მოედო ეს ამბავი მთელ სოფლებს, რასაკვირველია, ღამბარეულსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლებმა თავი წამოიწიეს, მუხლიდან ქარი ამოუშვეს. რას არ იმედოვნებდნენ, რასაც ღერები არ გამოსთქვეს! ყველა სოფელს თავის მოშაირე გამოუჩნდა. ბატონებს სთათხავდნენ, სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ. ქუდების სროლით და „ვაშას“ ძახილით გორისკენ მიეშურებოდნენ, რომ გული დაეჯერებინათ, რამდენად მართალი იყო ეს ამბავი. ბატონები კი შიშით სადღაც გაჰქრნენ. მათზე ჯავრს ჩვენებური მოშაირენი სულ კნეინებზე ყრილობდნენ და ათასნაირი ლექსებით ამკობდნენ.

ჩვენი ღამბარეულიც აჰყვა სხვების ფეხის ხმას. ყველანი ზეიმს მიეცნენ. ტაშ-ფანდური გააჩაღეს. შემდეგ წამოიშალნენ და ჯანსაღი საცხოვრებელი ადგილები მონახეს თავიანთი გუშინდელი ბატონების ადგილ-მამულზე.

დედაჩემის რჩევით ჩემმა ძმებმაც საჭიროდ სცნეს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა. გიომ და სანდალამ შეაბეს ურემი, აჰკიდეს ბარგი-ბარხანა, ჩაგვსხეს მე და დედაჩემი და გორის გზას გაგვიყენეს ჩვენს შორეულ ნათესავებთან სასტუმრებლად.

რა ბედნიერი მგზავრობაა ეს მგზავრობა!

გორი მოერთოთ. აუარება ხალხი ზღვასავით ღელავდა. ჯარების აღლუმი თვალს სჭრიდა. მუსიკა გრიალებდა. შემოსილი მღვდლები პარაკლისს იხდიდნენ. ამქრები თავ-თავიანთი დრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შებით გამოსულიყვნენ. ზურნა და სალბადარი, ტკბილი დუდუკი და სიმღერები ერთმანეთს ცვლიდნენ შეუწყვეტლივ.

ის-ის იყო, გორში უნდა შევსულიყავით, რომ ჩვენი ურემი ბოგირზე შესდგა. ამ დროს მომესმა ტაშის გრიალი და „ურა-ურას" ძახილი. მე ვერ მოვითმინე, წამოვხტი და, როგორც შეჰფერის რვა-ცხრა წლის გოგონას, კოფოზე შევხტი და ტაში შემოვკარი. მაგრამ თავმა გადამძლია და ურმის ქვეშ გავგორდი. ურმის თვალმა კინაღამ გადამიარა. შევკივლე. ძმებმა ურემი შეაყენეს, გულგახეთქილები მომცვივდნენ საშველად.

ძმების აზიზი და ვიყავი. როდესაც ურმის ქვეშიდან გამომიყვანეს, გაფითრებული სახით მათვალიერებდნენ, ხომ არაფერი [ეტკინაო], თანამგზავრებიდან ერთი ექიმბაში აღმოჩნდა, რომელმაც ბრტყელი შაურიანი მომადო შუბლზე, რაღაცა ლოცვა წაიბუტბუტა და ხილაბანდით შემიხვია.

დედაჩემი დამშვიდდა. მაგრამ რაწამს ურემში მოვიკალათე, მე კვლავ ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა, გავხედე მოზღვავებულ ხალხს, ველარ მოვითმინე, წამოვხტი, შუბლიდან ხილაბანდი ჩამოვიხსენი და იმ ბრტყელ შაურიანთან ერთად გვერდით მივაგდე, ტაში ტაშს შემოვკარ და, მეც მოვყე ძახილს:

– ურა! ურა! ურა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაჩემს გული გაუსკდა, ეგონა, ადგილს შეცვლით ფუძის ანგელოზმა გადარჩენა, ბავშვლო ხელი, თავის გვერდით დამახეთქა და დამიტია:

– დაეგდე, შე არ დასაცალებელო, რა ეშმაკები შეგიჩნდნენ, რომ არ ისვენებ? უსათუოდ გინდა, რომ ურმის თვალმა გაგსრისოს? ...

გვერდიდან აღარ მოვუშორებივარ. თვით გორშიც კი, როდესაც ურმიდან გადმოველით, სულ ხელჩაკიდებული დავყავდი, ვიდრე ნათესავებში არ მივედით. ესენი იყვნენ ნარიაანთ მათე და მისი ოჯახობა, რომელიც ძალიან კარგად შეგვხვდა, ჯიგრიანად, ნამდვილი ნათესაური გრძნობით და სიყვარულით.

მათე მეტად გულკეთილი კაცი გამოდგა. მას თურმე კარგად სცნობოდა მამაჩემი. გაიხსენა; შესანდობარი დალია. შემდეგ თავის სამოსახლო ადგილიდან პატარა ნაჭერი დაგვითმო. ჩემი ძმები დატრიალდნენ. ლაზათიანი ქოხი წამოდგეს. მათემ და მეზობლებმა ხელი შეგვაშველეს, რიგმა – აგურით, რიგმა – ყავრით, რიგმა – ხე-ტყით, ლურსმნით, ასე რომ, მალე ჩვენ გორის ბინადრები გავხდით. რუსის უბანში, სწორედ იმ ადგილას, სადაც საოსტატო სემინარიის შენობაა, იმის პირდაპირ თითქმის ყველა სახლი მიწური იყო, ჩამძვრალი ღრმად, მხოლოდ ამოდენილი კვამლით შეატყობდით, რომ იქ ხალხი ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდა. ჩვენი სახლი ამ მხრივ ლაზარეთი, ფანჯარა მაღლა წამოჭიმული, სათანადო ფანჯრებით და კარ-მიდამოთი.

***

რუსის უბანი ბევრად უკეთესი გამოდგა ღამბარეულთან შედარებით. სუფთა ჰაერმა გამომაკეთა. თუ ღამბარეულში მუდამ თავი მიმძიმდა და გაბრუებული ვიყავი, აქ გამოვფხიზლდი, გამოვცოცხლდი, მოვმაგრდი, ჩემს ტოლებში სახარბიელო და თავმომწონე ქალი შევიქენი.

თითქმის ხუთი თუ ექვსი წელი ვცხოვრობდი ასე ლაღად და სულ სიცილ-კისკისში ვატარებდი ჩემს ახალგაზრდობას. აი, ამ ხანებში ჩემ ძმებთან შუამავლობა დაიწყო ბედაურიანთ მიხაკამ. დაასახელა ვინმე ბესო ჯულაშვილი, რომელიც ოსეფა ბარამოვს უფროს ქარგლად მიეწვია თავის ფეხსაცმელების სახელოსნოში. ბესო მე მთხოულობდა. მალე თვითონაც გამოცხადდა. გამაცნეს მისი თავი. მეორე დღეს გიომ გამიმჟღავნა, ეგ ჩვენი სასიძო კაცია და როგორ მოგწონსო. მე გავწითლდი. ცრემლები მომაწვა, სირცხვილით თავი ჩავლუნე. გიომ ჩაიცინა. ბევრი მიქო, ბესო ასეთი და ასეთი კარგი კაციაო, უარი ვერ გავუცხადე. გუნებაში კიდეც გამიხარდა, რადგან ჩემს ტოლ გოგოებს დიდი ხანია ბესოზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჭირათ თვალი და ნატრობდნენ, ნეტავ მეც საბედო ჩვენ ვიყოთო. გაიმართა მიპატიჟებ-მოპატიჟება. ნიშნობამაც არ დააყოვნა.

ჩემს ამხანაგებს შურით თვალი უდგებოდათ. ასე ეგონათ, თითქოს რაღაცა უბედურებას ვაყენებდი ჩემი გათხოვებით. თავს მარიდებდნენ. შემდეგ ხომ, როცა ჯვარი დავიწერეთ, ავის მახსენებელიც ბევრი გამოჩნდა.

გორელ გოგოებს, მართლაც, გაწყრომის საბაბი მიეცათ: ბესო იმ დროს სახარბიელო ვაჟკაცი იყო, ყარაჩოღელი, მშვენიერი ულვაშებით, ლაზათიანად ჩაცმულ-დახურული. ის ქალაქიდან იყო ჩამოსული, ქალაქური პენწი დაჰკრავდა. ერთი სიტყვით, გორელ საქორწილო ვაჟკაცებს მთელი თავით მაღლიდან დაჰყიოდა.

ქორწილი დიდი გააჩაღეს. ჩვენი მეჯვარეები – იაკოფ ეგნატაშვილი და მიხა ციხითათრიშვილი – ყარაჩოღელები იყვნენ და დიდი ეშხიც შეიტანეს ჩვენს ქორწილში. ყარაჩოღელები მათი კარნახით მოდიოდნენ და საჩუქრებით გვავსებდნენ. სობოროში დაგვწერეს ჯვარი. ფაიტონები სულ ბაღდადებით დართულები მოგვაყენეს; ზურნა და მომღერლები, ჩვენი მაყრები სულ მათი ამხანაგები იყვნენ. განსაკუთრებით ირჯებოდა ახალგაზრდა მოკრივე ხოდელი, დამკლავებული, წელიწყვეტია... ერთი მეორეზე საუკეთესო ვაჟკაცი, მოლხინე, ხელგაშლილი და დარდიმანდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკოფ ეგნატაშვილმა, როგორც უფროსმა მეჯვარემ, დიდი ამაგი დაგვდო ჯვრისწერაზე და შემდეგაც. ყოველთვის სცდილობდა, რომ ხელი შეეწყო ჩვენთვის ოჯახის შექმნაში. მე ბედნიერ ქალად მიმაჩნდა თავი. ჩემი ბესოც მეოჯახე კაცი გამოდგა, ფულის შემომტანი, ოჯახს არასფერს არ აკლებდა. კეთილი გულის პატრონი იყო, ღვთის მოშიში. კვირა უქმე დღეს ეკლესიაში დადიოდა. დედაჩემი და ის ერთად დადიოდნენ სალოცავად, ერთმანეთს შეეწყვნენ. ბესოს ხშირად უთქვია მისთვის: შენ დედაჩემის მაგიერი ხარო. ბესოს თავი მოსწონდა. უყვარდა, როდესაც ეკლესიაში წავიდოდით, მეც თან წავეყვანე. წირვის შემდეგ ბაზარს ჩამოუვლიდა და ნაირ-ნაირი სავაჭროთი დატვირთულები ერთად მივეშურებოდით შინისაკენ. ერთი სიტყვით, ბევრს შეჰშურდებოდა ჩვენი ოჯახური ბედნიერება.

***

ბესო თავიანთი გვარის წარმოშობის ამბავს ასე გვიხსნიდა:

„ჩვენი წინაპრები მეჯოგეები იყვნენ, ამიტომ ჩვენ „ჯოგაანებს“ გვეძახოდნენ, თორემ წინად სულ სხვა გვარისანი ვყოფილვართო“. მისი სიტყვით, მათი წინაპრები გერელები ყოფილან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩაბლიანთ ყმები. მაგრამ გერელები დიდად ეფა-
წუხებიათ მთიდან წამოსულ ოსებს, დიდი სისხლის
ღვრაც ჰქონიათ, ვიდრე მაჩაბლებს არ შეუწყნარე-
ბიათ მათი თხოვნა და ლილოში არ დაუსახლე-
ბიათო. ბესოს გერისხატი ძალიან სწამდა, საგვა-
რეულო მფარველად და საფიცრად გერის წმინდა
გიორგის ხატი მიაჩნდა ბოლომდინ...

ჩვენი ოჯახური ბედნიერება უსაზღვრო იყო.
ბესომ თავისი საქმე გააუმჯობესა, ოსეფა ბარა-
მოვს გამოეყო და საკუთარი სახელოსნო გახსნა.

ეს ამბავი რომ გაიგეს, ყარაჩოღელები
დატრიალდნენ და ყველამ ხელი შეუწყვეს
ბესოს, ვისაც რითი შეეძლო. ჩვენმა მეჯვარემ,
იაკოფმა, დაზგა შეუკვეთა, გიგა ხოდელმა თავი-
სი დუქნის პატარა კუთხე დაუთმო, მუშტრებიც
ბევრი გაუჩინეს თავიანთი წრიდან.

ერთი წლის შემდეგ ჩვენი ბედნიერება დაგ-
ვირგვინდა იმით, რომ ბიჭი შეგვეძინა. ბესო
კინაღამ გადაირია სიხარულით. დიდი ნათლო-
ბა გააჩაღა. იაკოფ ეგნატაშვილი დატრიალდა,
როგორც ნათლია, მაგრამ... სიხარული მწუხარე-
ბით შეგვეცვალა, რადგანაც ბავშვი ორი თვისა
გარდაიცვალა.

ბესომ დარდისაგან სმა დაიწყო. ოჯახურ ბედ-
ნიერებას შეერყა საფუძველი, გაიბზარა.

მეორე წლის თავზე მეორე ბიჭი შეგვეძინა.
ესეც იაკოფმა მოგვინათლა. მაგრამ არც ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვს ეწერა დღეგრძელობა და ლოგინსაც არ ამყოლია, ნაადრევად გარდაიცვალა.

ბესო კინალამ შეიშალა. ყველაფერი ეს გერის ხატს მიაწერა, დედაჩემმაც კვერი დაუკრა, როგორც მორწმუნე ადამიანმა. დედაჩემმა ფეხი აიდგა და, ვინ იცის, რომელ მკითხავს არ აკითხვინა. ერთხელ ყარაღაჯშიც კი ავიდა, ვითომც ჩვენი ოჯახური უბედურების მიზეზის გამოსაკვლევად. იქაც გერის ხატს დასდეს ბრალი. გაიმართა წმ. გიორგის ხატის შეძენა, სანთლების გაჩაღება, გორიჯვარში სიარული, სადაც აღთქმა დადეს, თუ ბედნიერებას ვეღირსებოდით და მესამე შვილი შეგვრჩებოდა, რომელზედაც უკვე ფეხმძიმედ ვიყავი, მაშინ გერში უნდა წავსულიყავით სალოცავად და საღმრთოს შესაწირად.

მესამეც ბიჭი მეყოლა. ბესომ თქვა: „იაკოფის ხელი ვერ დავცადე, ახლა მეორე მეჯვარის ხელი უნდა ვცადოო“. ეგნატაშვილს ეს არ სწყენია. მესამე ბავშვის მონათვლა დააჩქარეს, მოუნათლავი არ მოგვიკვდესო. დედაჩემმა წმ. გიორგის შანა დაჰკიდა ბავშვს ყელზე და ბესოს გაახსენა, აბა, გერში წავიდეთ საღმრთოს შესაწირადო. ბესომაც უპასუხა: ოღონდაც ბავშვი შემრჩეს და სულ მუხლისჩოქვით ვეახლები და ბავშვს მხარზე შესმულს მივგვრიო.

აი, ეს ამბები გადაგვხვდა ჩემი სოსოს შეძენამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

თუმცა ბავშვი ცოცხალი შეგვრჩა, მაგრამ იგი ძალიან სუსტი აგებულობისა გამოდგა, მეტად ნაზი იყო, კაკაროტი, ხორცი ვერ მოვაკიდებინეთ. სადმე ავადმყოფობა რომ გაჩენილიყო, პირველი მას დაეტაკებოდა ხოლმე. საჭმელებში ეჯავრებოდა ხორცეული, სამაგიეროდ, მადიანად ჭამდა ლობიოს. მეტად სასაცილოდ ჩამოიგუნგლიდა ხოლმე თავპირს.

დედაჩემი ბავშვის ავადმყოფობას ჩიოდა, ბესოს და მე გულს გვიწყალებდა, აბა, გერის წმ. გიორგის აღთქმა შევუსრულოთო. ბესო დიდხანს ყურს იყრუვებდა, სანამ სოსოს უეცრივ ენა არ ჩაუვარდა ორქარზე ჯდომის გამო. ჩვენმა ტირილმა ქვეყანა შესძრა. მეზობლები ჩვენი ცოდვით იწვოდნენ. ყველას ეგონა, სოსოს ავი სული დასცემია და კვდებაო. მაგრამ ბავშვი მოსულიერდა, გადარჩა. სამაგიეროდ, ეს ავადმყოფობა საბაბი გახდა, რომ ბესოს გერში წავეყვანეთ სალოცავად.

წავედით იმ სიშორეზე, მაგრამ ვაი იმ წასვლას, ათასი უბედურება გადაგვხვდა. ცხვარი შევწირეთ. პარაკლისი ვახდევინეთ. მაგრამ სოსომ, როცა ქადაგება დაინახა, განსაკუთრებით როდესაც ერთი გასათხოვარი ქალი, როგორც „ავი სულით შეპყრობილი“ და თეთრებში გამოწყობილი, უფსკრულში გადაჰკიდეს „მოსარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენად“, იკივლა და შიშით გულში ჩამეკრა ბავშ. სწრაფად გამოვბრუნდით გორში. დედაჩემი სიხარულით ცას ეწეოდა. ჩემი ბავშვი კი სიზმრებშიც ხტოდა, ძაგძაგებდა, გულზე მეკვრებოდა, ჰბოდავდა, ძლივს ვამშვიდებდით...

***

სოსომ ნაადრევად აიდგა ენა. სულ მახსოვს, რას როგორი სახელი გამოუნახა. რამდენს ვხარობდით, ვიცინოდით. ყველა ბჭყვიალა საგანს ეპოტინებოდა, ლროჭინით ხელებს გააწვდიდა და ტიტინებდა: „ნდა-ა... დუნდალა ნდა...“ ესე-იგი, დუნდალა მინდაო. ყველა ბჭყვიალა საგანი ხომ მისთვის „დუნდალა“ იყო.

უყვარდა ყვავილები. ნამეტნავად მოსწონდა ლილილო და გვირილა. გვირილას დანახვაზე მოუსვენრობა ეტყობოდა, მოჰყვებოდა ხელების ტოტინს და თავისებურ ტიტინს:

„-ზი-ზი!.. ნდა-ა ზიზი-ზი!..“

გვირილა მისთვის „ზიზი“ იყო. ამ „ზიზის“ წყალობით ავადგმევინეთ ფეხი მე და დედაჩემმა. აგრეთვე უყვარდა მუსიკა. ჩემი ძმები, გიო და სანდალა, მშვენივრად უკრავდნენ დუდუკს. როდესაც ისინი ქეიფზე იყვნენ და შეწყობით უკრავდნენ, სოსოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– „უკლაი, დედა, უკლაი“...

მისთვის დუდუკიც, ზურნაც და საზოგადოდ, ყველანაირი საკრავი „უკრი“ იყო.

ფრინველებიდან მოლალური უყვარდა და „გოგია-გოგიას“ უძახოდა. დედაჩემს მკლავები ჰქონდა დაწყვეტილი. სოსო სულ ბაღებში დაჰყავდა, რომ „გოგია-გოგია“ ეჩვენებინა, ანდა ბულბულის სტვენით დაეტკბო.

საზოგადოდ, ჩემს შვილს ფრინველების გალობა და სიმღერები ძალიან უყვარდა, სულ სმენად იყო ხოლმე გადაქცეული.

მაგრამ რამდენადაც ბედნიერი შევიქენი შვილის დღეგრძელობით, იმდენად უბედური ვიყავი იმ მხრივ, რომ ჩემმა ბესომ სმას უმატა. ბევრს უშლიდა ჩვენი ოჯახის კეთილისმყოფელი იაკოფი, ნუ სვამო, მაგრამ ბესო არ იშლიდა. აღარც ჩემი ხათრი ჰქონდა, არც დედაჩემისა. მუშტრებმა აიყოლიეს, სმას აძალებდნენ. ყველა ახალ ფეხსაცმლის დაკვეთა-შესრულებაზე „მაღარიჩი“ ისმებოდა. წახდა მეოჯახე კაცი. თავს ველარ დასძლია. ყველას ხელს უქნევდა, ღვინოზე ეპატიჟებოდა. სმისგან ხელმა კანკალი დაუწყო, ისე ოსტატურად ველარ ასრულებდა სამუშაოს, როგორც უწინ. სახელოსნო ქარგლის ანაბარად მიატოვა, ჭირვეულობაც შემოიღო. მეტად უარშიო შეიქნა. სულ კარში გატანაზე ჰფიქრობდა, ოჯახი აღარ აგონდებოდა. შეეჩვია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვი ავად გამიხდა. ყვავილმა კინაღამ თავი
გადაიტანა.

მეტად მძვინვარებდა ეს ყვავილი იმ წელს. თითქმის ყველა ოჯახში ტირილი იდგა. ჩვენს ნათლია იაკოფს სამი მარგალიტი შვილი ერთ დღეს დაეკარგა. საწყალი, კინაღამ შეიშალა. ვაჟკაცი ჩამოდნა. იმისი ბედი თითქმის ყველა გორელს დაატყდა თავზე. მაგრამ გადავრჩი, თუმცა ბავშვი მეტად მძიმედ მყავდა და არც მეგონა იმისი გადარჩენა. ყოველ შემთხვევაში მოველოდი, რომ ბავშვი ორივე თვალით დამიბრმავდებოდა, მაგრამ ამ მხრივ ბედნიერი დედა გამოვდექი.

ერთი პატარა ამბავი ამ ავადმყოფობის დროს:

მესამე დღეს სოსოს დიდი სიცხე მისცა. ბოდვა დაიწყო. აიჩემა, მაჩვენეთ კუჭატნელიო. დედაჩემმა მუთაქა საბანში გაახვია, მიიყვანა სოსო და უთხრა, აგერ, შენი კუჭატნელი აქა წევსო. სოსომ ორჯერ წიხლი ჩააზილა, ესეც შენაო, დაატანა ამოხვნეშით, მაგრამ მუხლში ჩაიკეცა. ჩვენ თავის ლოგინში ჩავაწვინეთ. გაგვეხარდა, რომ ბავშვი დამშვიდდა, თუმცა სიცხეს არ დაუკლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***

გადამირჩა შვილი სიკვდილს. მილოცავდ-
ნენ. მეზობლები ჩემი ცოდვით იწვოდნენ. ხელს
მიწყობდნენ, რომ სოსო მომაგრებულიყო.
ბესომ იმხანად მიმანება თავი, ბავშვს მოუარეო,
მითხრა ეს და არც გაუხსენებია ბავშვის ნაყ-
ვანა სახელოსნოში. მიბრძანებდა, ბავშვს კარ-
გად ასვი და აჭამე, მოაღონიერეო და იმას კი არ
კითხულობდა, რითი და როგორ. რამდენი ღამე
გამიტარებია ტირილში. დღისით აცრემლებას
როგორ გავბედავდი, როდესაც ბავშვზე მოქ-
მედებდა. მომეკვრებოდა და დაღონებული თვა-
ლებში მაჩერდებოდა, მეტყოდა ხოლმე, დედი,
არ იტირო, თორემ მეც ვიტირებო. მეც თავს
ვიკავებდი, აბა, როდის ვტირი-მეთქი. გავუ-
ცინებდი და კოცნით ვუმტკიცებდი, ვითომც
ჩემს გულში დარდის ჩრდილი სულაც არ იყო.

პატარა მომიმჯობინდა თუ არა, ბავშვმა წიგ-
ნი მოიკითხა. მეც დიდად მინდოდა, რომ ბავშვი
სკოლაში მიმებარებინა, დედაჩემსაც. ორივეს
ნატვრა ის იყო, რომ ჩემი შვილი სასულიეროში
ყოფილიყო, რადგანაც დიდი მორწმუნეები ვიყა-
ვით და თვალს გვტაცებდა, როდესაც თბილისი-
დან რომელიმე ეპისკოპოსი ანაფორის შარიშუ-
რით ჩამოსულა და ზარების რეკვით შეჰგებებიან.
რამდენჯერ გვინატრია მეც და საწყალ დედაჩემ-
საც, ნეტამც ჩვენი სოსო ეპისკოპოსი გამოვიდესო.

ერთხელ სოსოს სწავლის შესახებ ბევრი
გავუბედე ლაპარაკი. ბავშვი მეორე ხელში
გადადგა და უსწავლელი მრჩება-მეთქი. მან
იტკიცა, რამ გაგასულელაო. მას ნასწავლი შვი-
ლი დაღუპვად მიაჩნდა. შენ ის ეცადე, ბავშვი
ჯანზე კარგად გვყავდეს, რომ ჩემი ხელობა
შევასწავლო და ოჯახს შემოეშველოს, ხომ
ხედავ, რომ მე აღარ ვვარგივარო. ხელახლად
უსიამოვნობამ იჩინა თავი. ბოლოს შევეხვეწე,
მესარეცხეობას ვიკისრებ, პურის მცხობლად
დავდგები, ოღონდ ხელს ნუ შემიშლი, ბავშვი
უსწავლელი არ დამატოვებინო-მეთქი. დიდად
იწყინა. ითაკილა. ბიჭი ჩემია და როგორც მინდა,
ისე უნდა გავზარდოო. მეც ავხირდი: შენი რად
იქნება, ბავშვი ჩემია და ჩემი ნემსის წვერით
უნდა ვაცხოვრო-მეთქი. ისევ ბავშვის ტირილ-
მა გაგვაშველა. გაგვაშველა, მაგრამ სურვილი
უფრო გამიასკეცა, რომ ბავშვი უსათუოდ სას-
წავლებელში მიმებარებინა.

***

ჩემი ოცნების განხორციელებაში ჩარკვია-
ნის ოჯახმა დიდად შემიწყო ხელი. ჩარკვიანის
უფროსი შვილი, კოტე, სასულიერო სასწავლე-
ბელში სწავლობდა. ყოჩაღი ბიჭი იყო, ჩუმი, ბეჯი-
თი. თვითონ ხომ სწავლობდა, თავის უნცროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებსა და ძმასაც ამეცადინებდა, რომ ეს ბავშვები
უსწავლელები არ დარჩენილიყვნენ. ბატონ-ქა-
ნის სიდედრი, სოფიო, მგრძნობიერი ქალი იყო,
იმას შევაბრალე თავი, ასე და ასეა ჩემი საქმე,
დამეხმარე, კოტეს შეახვეწე ჩემი თავი, რომ
ჩემ შვილსაც ასწავლოს წიგნი-მეთქი. სოფიოს
ძალიან ვუყვარდი, პატივსა მცემდა. ყოველთვის,
როდესაც ბესოს შეზარხოშებულს მოჰკრავდა
თვალს, უმალ ჩემკენ გამორბოდა. მან იცოდა,
რომ ბესო უსიამოვნებას ამიტეხდა და დედა
და შვილს თავიანთსა გვმალავდა ხოლმე, თვი-
თონ შედიოდა მასთან, დაუყვავებდა, გახდიდა
ტანისამოსს, მოასვენებდა ლოგინში და არც
მოშორდებოდა ხოლმე, სანამ არ დააძინებდა.
აი, ამ სოფიომ ჩემი გულის დარდი რომ გაიგო,
დატრიალდა და კოტეს დაავალა, შვილო, ჩვენს
პეტასა და სონასთან ერთად ამის სოსოსაც ასწავ-
ლე წიგნი, რომ როგორმე სკოლაში მივაღები-
ნოთო. კოტემ არ დაიზარა, სოსოს ხალისი რომ
შეამჩნია, უბეჯითა. ერთ კვირაში დედაენა სულ
გადააბულბულებინა. კოტეს უკვირდა მისი ნიჭი,
უკვირდა ისიც, რომ მისი პატარა ძმა და და ჩემმა
სოსომ უკან ჩამოირჩინა და ბევრად წინ გაუსწრო.

მოახლოვდა ენკენისთვე. ყველანი ეშურე-
ბოდნენ, რომ შვილები სასწავლებელში მიე-
ბარებინათ. სოფელ ნაღელიდან ჩამოვიდა
თვითონ ქრისტეფორე მღვდელი, ჩარკვიანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიო ახლა იმას შეუჩნდა, დატრიალდი, ბა-
ხალხს დაეხმარე და ეს ბიჭი როგორმე „დუხოვ-
ნიში“ მიაღებინეო. იმ დროს სასულიეროში თუ
არა მღვდელ-დიაკვნის შვილს, ერისკაცისას არ
იღებდნენ.

ქრისტეფორე მღვდელი დიდი მოხერხებული
და გაბედული კაცი გამოდგა. არავის არ ერიდე-
ბოდა. ჩვენი პატივისმცემელი იყო, რადგან მე და
ბესოს ჯვრისწერის დროს ეგ სობოროში მთავრად
იყო და თავისი მოხდენილი გალობის ღაღანით
დიდად გაგვაპატიოსნა. ჩვენმა იაკოფმა მას ამ
გალობისთვის ჯიბეში ერთი წითლიანი ჩაუდო
სხვა მღვდლების შეუმჩნევლად. გარდა ამისა,
ბესოც ძალიან შეუყვარდა. იმასაც სმა უყვარდა
და ერთმანეთის ამფსონები შეიქნენ. ისე წაღებს
როგორ შეაკერვინებდა ან თავისთვის, ან კოტესა
და პეტოსთვის, რომ მაღარიჩში ერთი ორი-სამი
ხელადა მაინც არ გამოეცალათ. ამიტომ იყო, რომ
სოფიოს თხოვნა ჩემი სოსოსთვის მან გულთან
მიიღო. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გამონახა
გამოსავალი. განცხადება თვითონვე დასწერა,
ასე და ასე, ჩემი დიაკვნის შვილი (ბესო დიაკვნად
გამოაცხადა) მეტად ნიჭიერი ყმაწვილია და
გთხოვთ, მიიღოთ თქვენდამი რწმუნებულ სას-
წავლებელშიო. გასჭრა. ბავშვი გამოცდებზე
დაუშვეს. ყველა კითხვებზე სხაპასხუპით უპა-
სუხებდა. დედაენა რომ ჩააბულბულა და ანგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშიც ჩინებულად ჩააბარა, ლოცვებშიც ისინ ყოჩაღი გამოდგა, ბავშვი იმდენად მომზადებულად სცნეს, რომ „სრედში“ (საშუალო) კლასში მიიღეს. გავბედნიერდი. ქრისტეფორეს მეც და დედაჩემმაც დიდი მადლობა გადავუხადეთ.

ბესომ სულ ცეცხლი მოიკიდა, ბავშვს რად მიღუპავთო. მიდიოდა დრო. ჩემი სოსო პირველ მოწაფედ გადავიდა შემდეგ კლასში, მაგრამ ბესოს ეს არ ახარებდა. თვითონ ყოველ წლის შემდეგ სმისგან მუშაობის უნარს კარგავდა. ჩვენი ქარგალი დათა გასიტაშვილი უკვე დამოუკიდებლად მუშაობდა, ათასში ერთხელ გვეხმარებოდა, როგორც საყვარელი ოსტატის ოჯახს, მაგრამ რას გახდებოდა, როდესაც თვითონ ბესომ აიღო ხელი მუშაობაზე და სახელოსნო დასტოვა ახალი გამოუცდელი შეგირდის, ვანო ხუციშვილის ანაბარად. ეს უფრო მორბედი ბიჭის როლს ასრულებდა, შინ მეხმარებოდა, წყალი მოჰქონდა, ეზოს ის გვიდა. სახელოსნოში ხელის გამომუშავებამდე ჯერ კიდევ შორს იყო და რა დახმარება შეეძლო. ოჯახი იაკოფ ეგნატაშვილის წყალობით არ დაგველუპა. ის დახმარებას არ გვაკლებდა. მართალია, იაკოფი ნათლია კაცი იყო ჩემი შვილებისა, მაგრამ იმასაც ოჯახი ჰქონდა, იმ სამი დაკარგული შვილის გარდა კიდევ ეყოლა, დაწვრილშვილდა, მეც მეთაკილებოდა, ქმარი გვერდით მყავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ასე დალუპვის გზაზე დააყენა ოჯახი. ბუნ-
სმაზე ხელს არ იღებდა და ახლა ოჯახის გასან-
ყლების მიზეზად მე მასახელებდა, სულ მეჩხ-
უბებოდა, შენ შვილი არ წაგერთმია ჩემთვის,
აქამდე ეგ ჩვენი ამქრის შვენება შეიქნებოდა,
რადგანაც კარგ ხელს ვამჩნევდი მაგაშიო. ჩემი
სოსოს სწავლა მას შვილის წართმევად მიაჩნდა.
ერთხელ ძალზე მთვრალი მოვიდა. სოსო მაშინ
მეორე კლასში მყავდა. ინია ჩემზე. აქეთ სოფიო
ჩამოგვერია. შვილი მომცეს, შვილს ნუ მტაცებს,
დამილუპავსო. სოსო ძალით წაიყვანა სახელოს-
ნოში და წაღები მისცა შესაკერად. მთელი ქვეყ-
ანა შევძარი: ჩემი ძმებიც მოვიშველიე, ნათლია
იაკოფიც, მიხაკაც, მასწავლებლებიც. ყველას
ვემუდარებოდი, მიშველეთ, შვილს მტაცებს-
მეთქი. ბესო გაჯიუტდა, ვერავის დავანებებ
ჩემ შვილსაო. უქებდა ხელს. ეხლაც ისეთი
წაღები შეჰკრა, როგორც მირონი, და თუ ასე
იმუშავებს, ჩვენი ამქრის მშვენება შეიქნება,
უსტაბაშების უსტაბაშიო, სკოლაში კი დამეღუ-
პებაო. მასწავლებლები ჩამოგვერიენ, ზაქარია
დავიდოვი და თვითონ სასწავლებლის უფროსი
ბელიაევი, რომელსაც ცოლი ქართველი ჰყავდა,
მეტად სათნო და კეთილი. ყველანი არცხვენდ-
ნენ, ასეთი ნიჭიერი შვილი გყავს, თავი უნდა
მოგწონდეს, შენ კი ხელს უშლი სწავლაშიო.
ბევრი უქადაგეს. გასჭრა ქვეყნის ხმამ. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესომ ეს „შერცხვენად“ მიიღო, ითავისა და სამუდამოდ მოშორდა ოჯახს, ისევ ქალაქს დაუბრუნდა, იქ ვიმუშავებო. წავიდა, მაგრამ უკვე ნახევარი კაცი იყო. თავმომწონე ძველი ბესო ღვინის მსხვერპლი შეიქნა.

***

ბესოს წასვლის შემდეგ ძალიან გამიჭირდა ცხოვრება. როგორც ყოველთვის, ეხლაც დიდ დახმარებას გვიწევდა ნათლია იაკოფ ეგნატაშვილი და მისი ოჯახი. მისი მეუღლე მარიამი დიდი მოსიყვარულე იყო ჩვენი ოჯახისა. ეცოდებოდა ჩემი სოსო. ობოლი ხომ ობოლია, მაგრამ ობლობაზე უფრო ძნელი ისაა, რომ ცოცხალი ყავდეს ბავშვს მშობელი და მკვდრად ეგულებოდესო. ყოველთვის სავსე კალათას მიგზავნიდა ბიჭის ხელით, ასე რომ, მე და ჩემი შვილი მაძღრები ვიყავით. მაგრამ მე, როგორც ვთქვი, მეტად ამპარტავანი ქალი ვიყავი. მართალია, არასოდეს არც იაკოფს და არც მარიამს ჩემთვის არაფერი არ უგრძნობინებიათ, მაგრამ როდემდის უნდა ვყოფილიყავით მათ კმაყოფაზე. იაკოფისგან მუდამ დავალებული ვიყავით. ჩვენი ოჯახის არეულობა და აწეწ-დაწეწვა გულზე მიჰქონდა. დიდი ხარჯი მოსდიოდა ბესოს შერიგება-გადარიგებაზე, ეხლა კიდევ ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარღვეული ოჯახი მუდამ რომ აჰკიდებოდა ბარგად, მე ეს არ მინდოდა. ამიტომ ბავშვობიდან მარჯვენა ავამუშავე. არავითარ შავს სამუშაოს არ ვერიდებოდი. სარეცხსაც კი არ ვთაკილობდი. მასწავლებლებმაც ყურადღება მომაქციეს. განსაკუთრებით ბელიაევმა. ის, როგორც ვთქვი, მეტისმეტად თავმდაბალი, მოსიყვარულე კაცი იყო. ჩემი სოსო ძალიან უყვარდა, როგორც პირველი მოწაფე. ჩვენი ოჯახის ამბავი რომ გაიგო, შესწუხდა, თავისი მეუღლე გამომიგზავნა, მანუგეშა, თანაც მოკრძალებით თეთრეული გამომიგზავნა მოახლის ხელით, ეს დამირეცხეო. თანაც კარგი ფასი მოაყოლა. შემდეგ ავამუშავე ნემსის წვერი. ჯერ ჩვენი ნათლიის ოჯახში იაკოფის მეუღლეს დავულიანდაგე საბნები. ნიჭი გამომაჩნდა. გორში სახელი გამივარდა, როგორც საბნების საუცხოვო დამლიანდაგებელს. გავიორკეცე მუშაობა. საბნებიდან საცვლების კერვაზე გადავედი, შემდეგ კაბებისაზე, ერთი სიტყვით, ნემსის წვერი შეიქნა ჩემი და ჩემი ბიჭის მაცხოვრებელი. სხვა საღსარი მე არ გამაჩნდა.

სწორედ ამ ხანებში გორში ორმა დამ, დარომ და ლიზა ყულიჯანოვებმა, რომელთაც ჭიჭგოგიანთ ქალებს ეძახდნენ, ოთარიძიანთ პირდაპირ, ოქონის ქუჩაზე, ქალების ტანსაცმელის სამკერვალო გახსნეს. მათ გაეგონათ ჩემი ხელის

ELIBRARY.GE

უნარიანობა და თავიანთსა მიმიწვიეს. გამოვ-

ყვავილები, ნამეტნავად ღიღილო და გვირილა. დედაჩემი და სოსო ძალიან დამეგობრდნენ. დედას დაჰყავდა ბაღებში, იქვე, რუსპირზე ჰბანდა პირს. ერთხელ შეატყო, რომ ბავშვი ფეხის ადგმას ეძალებოდა. შვილო, მეუბნება, მოდი, ვცადოთ, ვგონებ, ბავშვს ფეხის ადგმა უნდა... შევეშველოთ. ჩემი მკლავებიც მოისვენებენო. მეც გამეხარდა. იქვე, ჩვენი სახლის კიბესთან ჩამოვსხედით. ბავშვმა ტიტინი დაიწყო. დედაჩემმა გვირილა აიღო. ბავშვი ჩემს მუხლებთან დააყენა, თვითონ შორიახლოს დადგა, გვირილა დაუქნია და თავის ენაზე დაუძახა ბავშვს:

– ზიზი, ჩემი შვილი, ზი-ზი!...

გვირილას დანახვაზე ბავშვი გადირია. თვალები აენთო, ატორტმანდა.

– ზიზი!... ზიზი!... – დაიღრიჭინა ბავშვმა და ცალი ხელი გააწოდა დიდედას გვირილისაკენ.

დედაჩემიც სიხარულით სულ დაფრინავდა.

– ზიზი, გამახარე, ზიზი!... – ეუბნებოდა იგი და გვირილა აუთამაშა, ააცეკვა გამჭკნარ თითებში.

ბავშვმა ხელახლა დაიღრიჭინა:

– ზი-ზი!... ზიზი!...

შემდეგ მთელი სხეულით შეინძრა, მუხლზე ცალი ხელით მომეყრდნო და ფეხიც გადასადგმელად გაამზადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ზი-ზი!... ზი-ზი!... – არ უსვენებდა დიდედა.

ბავშვი თითქოს რაღაცას შეფიქრდა, შემდეგ ალრიჭინდა, გამიშვა ხელი, პამპალით გაექანა, თავმა წასძლია და დედაჩემის კალთაში წაჰყო თავი, თანაც მტრედივით მოჰყვა ღულუნს, თითქოს თავს გვანონებს თავისი პირველი ვაჟკაცობითაო.

ჯერი ჩემზე მოდგა. მე ვაშლი ვაჩვენე.

– კაკა, შვილი, კაკა!... მოდი ჩემთან, მოდი!.. ტა-ტა!...

ასე ვესიყვარულებოდი, მაგრამ ჩემს ვაშლს ისევ დიდედას გვირილა ამჯობინა.

– ზი-ზი!... ზი-ზი!... – შესძახა მან და გვირილას დაუწყო ძებნა, ჩემკენ ფეხი არცკი გადმოუდგია. ვთქვი, გიჩვენებ სეირს, ვნახოთ, დიდედაშენის გვირილა აჯობებს თუ ჩემი ძუძუმეთქი. გულისპირი გავიხსენი და ძუძუს თავი ამოვაყოფინე:

–ძუძუ, შვილი, ძუძუ!...

სოსომ ძუძუს შემოსცინა. გამეხარდა. პატარა ხანს ატოკდა, შემდეგ შუბლი შეიკრა, შეფიქრიანდა, ბოლოს ისევ გამიცინა და „ღ!... ღ!...“-ს ალულუნებით წამოპამპალდა და გულზე მომასკდა.

სიხარულით გადავირიე, მაგრამ დიდად გავოცდი, როდესაც ძუძუს თავი გაანება და იმავე წუთში ისევ გვირილისკენ დაიწყო ყურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი კი სთქვა – „ზიზიო“ და ისევ დედასკენ მიგორდა.

ჩვენი გატაცება ფოკამ ჩაგვიშალა. თურმე გვითვალთვალებდა. ისეთი გულიანად გადაიხარხარა, რომ მიგვახედა. დავინახე თუ არა, შიგნით შევიჭერი ჩემი ბავშვით. ის კი დედაჩემთან მივიდა და ბავშვისთვის დაბრაწული ვაშლი გადასცა. დედაჩემი დატრიალდა, არაყი დაალევინა, პური აჭამა, როცა ბოთლი გამოსცალა, მომხიარულდა, სიმღერა დაიწყო და ცეკვით წავიდა. უბედური, მეტად სასაცილო იყო, რომ დაფენთხილი ყვავივით მიაფრიალებდა იმ ძონძებს რუსული ცეკვის დროს. დედაჩემს ძალიან ებრალებოდა, ვინ იცის, რად, რისთვის გადმოუხვეწიათ თავის სამშობლო ქვეყნიდანაო.

„დუნდალებზეც“ მაქვს ერთი პატარა მოგონება:

ერთხელ ქორწილში დაგვპატიჟეს ხოდლიანებმა. ჩემი ბიჭიკოც წავიყვანეთ. ნეფე-დედოფალი რომ მოიყვანეს მაყრებმა და აქეთ-იქიდან ულოცავდნენ, ჩემი ბიჭიკო პატარძალს გვირგვინის ტოტში წასწვდა და თავისკენ მიიზიდა. პატარძალს გული გაუსკდა. სიძე-კაცმა ცუდ ნიშნად ჩასთვალა ეს და მოიღრუბლა. ბავშვს დაუტიე, ხელში წავწვდი, მინდოდა გამეშვებინებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. „დუნდალა ნდა-ა...“ გააბა ტირილი და გვირგვინის ტოტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს არ უშვებდა. ნათლია იაკოფი გამოქცეულა, მე დამიტია, ბავშვს რად სტუქსავ, რა ესმის, რომ უჯავრდებიო. ბავშვი თითქოს მიხვდა, რომ კარგი ქომაგი ვიშოვნეო, გაგულისდა, გვირგვინის ტოტს დაუწყო ნჯღრევა და აწიოკდა:

„დუნდალა ნდა-ა!... დუნდალა ნდა-ა!...“

იაკოფმა გულიანი სიცილი დაიწყო. ბავშვს აკოცა და მიუალერსა, „ბიჭო, ეხლავე პატარძალს იტაცებ, როცა გაიზრდები და ულვაშებს დაიბზენ, მაშინ რალას იზავო“. მეფეს გული გაეხსნა, იმანაც ბევრი იცინა. პატარძალს ჩამოფხატული გვირგვინი შეუსწორეს. ჩემი ბიჭიკო იმითი დაამშვიდეს, რომ გვირგვინის ტოტი მოუჭრეს.

– აჰა, ესეც შენი დუნდალა! – უთხრა ნათლია იაკოფმა და ფოჩიანი ტოტით დათა გასიტაშვილს გამატანებინა შინ.

დათა გასიტაშვილი ჩვენი შეგირდი იყო, რუისიდან ახლად ჩამოყვანილი. ბავშვი ძალიან შეიყვარა. შინ რომ მიჰყავდა ბავშვი, გზად ერთი რუსი შემოხვედრია, რომელსაც მოსწონებია ჩემი შვილი და უთქვია: „კაკოი ხაროში სარანჩიკ!“ დათას შუბლი შეუკვრია: როგორ თუ „სარანჩიკიო“. ეს სიტყვა მას გინება ჰგონებია და კარგა მიუბერტყია ის რუსი. საქმე სასამართლოში გაირჩა. როდესაც დათამ აუხსნა, ასე და ისე, მაგან ჩემ ოსტატის შვილს „სარანჩიკი“ დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძახა და ამიტომ ვცემეო, მსაჯულებს ვასტიბ-
ბოდათ და საქმე შერიგებით დამთავრდა, რაიც
ნათლია იაკოფის ჯიბეს დააწვა ვალად, ვინაიდან
რუსის ქეიფის ხარჯი იმან გადაიხადა.

***

ბავშვობისას ჩემი სოსო მართლა „სარანჩიკი“
იყო. მე ჩემი და იმან თავისი, ხორცი ვერ მოვა-
კიდებინე. რამდენჯერ გადამირჩა სიკვდილს.
ოთხი თუ ხუთი წლისა იქნებოდა, ბესომ ერთხ-
ელ საფერისცვალოდ ქალაქიდან ერთი წყვილი
მშვენიერი საზამთრო მოიტანა. გვინდოდა, ეკლ-
ესიაში გვეკურთხებინა სხვა ხილთან ერთად,
როგორც ეს წესად იყო მიღებული. ბესომ
სასინჯად ერთი საზამთრო გასჭრა და მოიწო-
ნა. ვიდრე ეკლესიაში წავიდოდით, ჩემს სოსოს
შკაფი გამოელო და ერთი ნაჭერი შეეჭამა. ბესო
გაუჯავრდა, უკურთხებელი რატომ სჭამეო.
ბიჭმა იწყინა. ვეხვეწეთ, საყდარში წამოგვყ-
ოლოდა, მაგრამ არ იქნა, კართან აიტუზა და
ფეხი ვერ მოვაცვლევინეთ. ჩვენ ეკლესიაში
ვილოცეთ. საზამთრო, ახალი კაკლის ლებანი
და ნაადრევი ყურძენი ვაკურთხებინეთ. სულ
დაგვავიწყდა, რომ სოსო შინ დაგვრჩა გაბუტუ-
ლი. შინ რომ დავბრუნდით, სოსო ისევ კარებთან
აიტუზა, ბევრი ვეხვეწეთ, მაგრამ სადილზე არ

შემოვიდა. ბესო გაბრაზდა, იყოს, ვიდრე ნათლია
მოეწყინებაო. სუფრა რომ გავშალეთ, ნათლია
იაკოფი შუამავლად მივუგზავნეთ, მაგრამ არც
ამ საყვარელ კაცს გამოჰყვა. ბესომ შეიგინა და
გვითხრა, დასხედით, ვისადილოთო. სადილი
გაგვიგრძელდა. როცა გავათავეთ, საზამთრო
გადმოვიღეთ და ჭამას შევუდექით. ამ დროს
გაიღო კარი და გვესმის:

– ფინთებო!... ფინთებო!... ფინთებო!...

ჩვენ სიცილი წაგვსკდა. ნათლია იაკოფმა
კინაღამ ჩაჰყლაპა. სუფრის თავზე გადმოევლო,
ბიჭიკო მხარზე შეისვა და თავის ადგილას დასვა,
მთელი საზამთრო წინ დაუდგა, მაგრამ ორქარზე
დგომამ ბავშვი გასჭვალა და გაითანგა. შეგვექნა
ნიოკობა. ზაუტაანთ ფეფო შემოგვესწრო და
იმან მოგვისურიელა.

იყო მეორე უბედური შემთხვევა, როცა
ბავშვი ხელიდან კინაღამ გამოგვეცალა. მაშინ
ჩემი სოსო უკვე სკოლაში დადიოდა. საღ-სალ-
ამათი გავისტუმრე სასწავლებელში და ხელზე
გადასვენებული მომიყვანეს ჩემი შვილი. თურმე
გაკვეთილებიდან შინ რომ წასულა, სულხანიანთ
დუქნის მახლობლად, მძინაროვიანთ სახლის
წინ, კოპინოვს მეორე ტროტუარიდან დაეძა-
ხნა, სოსო, აქეთ გადმოდი, რაღაცა უნდა გაჩვე-
ნოო. ჩემი სოსოც ქუჩის რუზე გადამხტარა და
კოპინოვისკენ წასულა. ამ დროს გამოქანებული

ფაიტონი დასჯახებოდა და კინაღამ ავტობუსი
გადაეთელნათ. ბავშვი გრძნობადაკარგული
მოიყვანეს. კინაღამ შევიშალე. მთელი ორი
კვირის განმავლობაში ენაჩავარდნილი მყავდა.
ღმერთმა უშველოს, დიდი ამაგი დამდო ფერ-
შალმა ტკაჩენკომ, რომელმაც ექიმი ლუბომუ-
დროვი მოიყვანა. ორივენი ყოველდღე დაიარე-
ბოდნენ, მანუგეშებდნენ, არა უშავს რა, ბავშვია,
ყველაფერს აიტანსო. შემდეგ თავისით ჩამოე-
რია ექიმი სააკოვიც. ისიც კეთილი კაცი იყო.
გაეგო თუ არა, ასეთი და ასეთი ბავშვი უკვდე-
ბათო, მაშინვე ჩვენსა გაჩნდა. არც ერთ ექიმს
გასამრჯელო არ აუღია. ყველანი გულწმინდად
მეხმარებოდნენ და ბავშვის სიცოცხლე მაჩუქეს:
სოსო მესამე კვირაზე უკვე სკოლაში გავისტუმ-
რეთ. სააკოვმა ჯიბის ფულად მანეთიანი აჩუქა
ჩემს ბიჭს.

***

როგორც ვთქვი, მე და ბესოს ცხოვრება
ერთად შეუძლებელი იყო. ბესო თვითონვე მიხ-
ვდა და აკი თვითონვე გადასახლდა თბილისში.
იქ იგრძნო სიმწვავე. ბავშვის სიყვარულს შეე-
წუხებინა და რამდენჯერმე ჩემი გულის მოსალ-
ბობად გროშებიც კი გამომიგზავნა ბავშვის სახ-
ელზე. ბოლოს შერიგებას მეხვეწებოდა, ფიცს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სდებს, სმაზე ხელს ავიღებ და ჩემს შვილს თავზე დავადგები, სასწავლებლიდან აღარ გამოვიყვანო. ჩემმა ძმებმა ეს ამბავი რომ გაიგეს, დატრიალდნენ, ნამეტნავად გიო. მოინვიეს ნათლია იაკოფი, გამართეს ბჭობა და გადასწყვიტეს, მე დათმობაზე წავსულიყავი. ის კი არა, გიო უფრო შორსაც წავიდა და მამტყუნებდა, ყველაფერი შენი ბრალიაო.

– ჩემო კეკე, შენი ასე დარჩენა ჩვენ გვეძრახება, სირცხვილია. აბა, რას იტყვის ქვეყანა, ქმარგაშვებული რომ დაგინახოს, თავი მოგვეჭრება და ესაა. რას ჩააცივდი შენც ამ ბავშვსა, რახანც ბესოს არ უნდა, ნურც შენ ასწავლი, მორჩა და გათავდა. ჩვენც უსწავლელები ვართ, მაგრამ ამითი ქვეყანა როდი დაქცეულა. შენ ბავშვი გაუშვი მამის ნებაზე. დაე, იმასთან ისწავლოს ხელობა. დამერწმუნე, ეს ბევრად ემჯობინება ალილუიას ბუტბუტს. ბიჭი ხელმარჯვეა, ხელობას ჩინებულად ისწავლის და ოჯახს წელში გაასწორებს. რად გინდა მაგისი სწავლა. ვინ ვის გამოსდგომია, რომ ეგ თავისი სწავლით შენ გამოგადგეს, როცა ანაფორათი თავს დაგიკრავს. სამაგიეროდ, ბესო ზნეს შეიცვლის, როდესაც შვილს დაუთმობ და ნებაზე თავის სახელოსნოში აღაზრდევინებ...

მე ტირილი წამსკდა. გადაჭრით უარი ვუთხარი. ისევ კარის მავალ გლახად ვივლი და შვილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლიდან არ გამოვიყვან-მეთქი. აქაც დამეხმარა. როცა დაინახა, რომ ჩემი გადაწყვეტილება ურყევი იყო, გიო დააშოშმინა, ძალას ნუ ატან, როგორც დედის ჯიგარი ეუბნებოდეს, ისე მოიქცესო. ძმები შემოვინდურე. ერთი კვირა ხმას აღარ მცემდნენ.

– როგორც გინდოდეს, გიო, – ვეუბნები, – თუნდა შევურიგდე, ბავშვი დავთმო და მის სახელოსნოში ამოვალპო, ბესო მაინც სმაზე ხელს არ აიღებს და ყოველდღე მისი „ბალა-ბალას" და ჩხუბის თავი არა მაქვს... მერე რა ჩინებულად სწავლობს ბავშვი. მთელი სასწავლებელი სულ მაგის ქებაშია. დედა გვერდით ჰყავდეს ასეთს ნიჭიერ ბავშვს და სწავლიდან გამოიყვანოს? რა სისულელეა. არა, ბავშვს შუა გზაზე ვერ დავტოვებ და შარაგზის მეჯღანეობით შემოტანილი ფულით თავს არ დავაკვლევინებ. მაგან უნდა ისწავლოს. ვიდრე ცოცხალი ვარ, ვერ ვუღალატებ, მაგის ცოდვაში ვერ ჩავდგები.

ან როგორ ვუღალატებდი? მასწავლებლები სულ ჩემი შვილის ქებაში იყვნენ, თავს ევლებოდნენ. სვიმონ გოგლიჩიძემ იცოდა, შენი შვილი ისეთი ხმის პატრონია, რომ ქვეყანას გააკვირვებსო. მეც მიყვარდა „დუხოვნის" სკოლის ეკლესიაში სიარული და მოსმენა ჩემი შვილის გალობისა.

რაკილა სოსოში ნიჭიერ ბავშვს ვხედავდი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანი მის ქებაში იყვნენ, ჩემი თავისთვის ბევრი რამ დამიკლია, მაგრამ მისთვის არასოდეს მიღალატნია. მიყვარდა, რომ მუდამ სუფთად ჩაცმული მყოლოდა, გამოწკეპილი. როგორც სუსტი ბავშვი, მუდამ ჩაფუთნული მყავდა, გაროზის შარფით ვატარებდი, თვითონაც ძალიან ვუყვარდი. აკი ვთქვი, როდესაც მამას მთვრალს დაინახავდა, ცრემლებით თვალები ევსებოდა ხოლმე, ტუჩები ულურჯდებოდა, გულზე მეკვრებოდა და გულით მთხოვდა, თავი გამერიდებინა მეზობლებში, უფრო კი დიდედა სოფიოსთან, სანამ ბესო დაიძინებდა.

გავიდა დრო. ბესოს ხმა მისწყდა. არავინ არასფერს მატყობინებდა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. არც მე ვკითხულობდი, პირიქით, მიხაროდა კიდეც, რომ უიმისოდ ჩემი საკუთარი ნემსის წვერით ოჯახის საქმე გამოვასწორე. სულ ბოლო ხანს ბესომ ერთხელ კიდევ შემომითვალა, შევრიგდეთო, მაგრამ უარი შევუთვალე. უსიამოვნობასა და გამუდმებულ აყალმაყალს მერჩივნა შრომით გზა გამეკაფნა ჩემი შვილისთვის და მყუდროდ ვყოფილიყავით, თუნდაც ამისთვის ნახევრად მშიერი დავრჩენილიყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

რამდენჯერ ჩემი შვილის თავთან მითენებია ღამე, სულ იმას ვნატრობდი, რომ შვილი მოსწრებული გამეხადნა, დამევაჟკაცებინა, სანამ ძალ-ღონე მიმტყუნებდა და სიბერე გამტეხდა წელში. ამისრულდა ნატვრა. შვილი დამივაჟკაცდა, ამხანაგების თვალი შეიქნა, მასწავლებლებისთვის – სანაქებო შეგირდი. მთელი გორის სასულიერო სასწავლებელი ისე გაათავა, რომ ერთხელაც არ დარჩენილა, სულ ხუთებზე სწავლობდა, პირველ მოწაფედ ითვლებოდა.

სასულიერო სასწავლებლის დამთვარების შემდეგ ყველანი მილოცავდნენ. სვიმონ გოგლიჩიძეს წელი მოსწყდა, ეხლა სასწავლებელი დამრჩა ობლად, გუნდს ვინღა დამიმშვენებსო. მაგრამ ეს კი არ მაფიქრებდა, არამედ ის, თუ ეხლა რა მექნა, სემინარიაში როგორ შემეყვანა ჩემი შვილი. წვა-დადაგვაში გამოზრდილი ბიჭიკო ეხლა ვაჟკაცივით წამომდგომოდა თავზე და სწორედ ეხლა უნდა გამესტუმრებინა ქალაქისაკენ. მარტო ფიქრიც კი მიძნელდებოდა ამ საგანზე. ჩემი სოსო ისე მოიჩიტა და დამივაჟკაცდა, რომ ერთხელაც არ მომშორებია, ფეხი არსად გაუდგია. ზაფხულობით, როცა შეგირდებს სამ-სამ თვეობით ითხოვდნენ დასასვენებლად, სულ კრუხივით კალთასთან იჯდა და ისევ წიგნებით ერთო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა. ჩვენ ნათესაობა არ გვყოლია, ამიტომ სოფლად სადმე გამეგზავნა. მისი დიდი გართობა სეირნობა იყო, განსაკუთრებით უყვარდა თავის საყვარელ მეგობრებთან ერთად გაღმით გასულიყო, გორიჯვრის ძირას, ან მის ფერდობზე, ისევ და ისევ სამეცადინეოდ. შემდეგში, როდესაც სემინარიაში გადავიდა, უფრო გაიგემა და მიშა დავითაშვილს მისდევდა ხოლმე წრომში. სემინარიაში მიბარებამდე კი სულ ჩემთან იყო. ერთმანეთს ძალიან შევეთვისეთ. ის უჩემოდ ვერ სძლებდა, მე კიდევ – უმისოდ. მაგრამ მას უყვარდა სწავლა და მისდამი წყურვილმა ბოლოს ჩემი თავიც დაათმობინა. მეტი ჯანი არ იყო, მეც უნდა დასტური მიმეცა მისი გატაცებული სურვილებისთვის.

ეს ასე იყო, მაგრამ ჩემმა სოსომ ერთხელ დაძმარებით კარი შემოაღო. გული გამისკდა.

– რა დაგემართა, შვილო? – ვეკითხები.

ცრემლმორეულმა მიამბო, შესაძლოა, წელიწადი დავკარგო და სემინარიაში არ მიმილონო და აი, რატომ:

სწორედ იმ წელს, როდესაც სოსომ სწავლა მოათავა, სემინარიაში ბუნტი იყო. ბევრი დაეთხოვნათ. ახლად მისულებისათვის ძალიან გააძნელეს მიღების საქმე. თუ არა სამღვდელოს შვილი, სხვისი სახელის გაგონებაც არ უნდოდათ. მე დავაიმედე ჩემი ბიჭი: ნუ გეშინ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იან, შვილო, აქ მე დაგეხმარები-მეთქი. მართლაც, მოვიდგი ჩიხტი-კოპი და ყველა გავლენიანი მასწავლებელი ვინახულე, გოგლიჩიძეც, ზაქარია დავიდოვიც, ილურიძეც. ყველანი ერთსულოვნად მპირდებოდნენ, რომ ჩემს შვილს, როგორც პირველ მოწაფეს, ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენდნენ. მე ყოველთვის თავი მომწონდა, რომ ჩემი შვილი სასწავლებლისთვისაც ფასდაუდებელი თვალი იყო და იმედიც გამიმართლდა. როცა დრო დადგა, ისეთი მოწმობა მომცეს, რომ ქვას გახეთქდა. მეც გავბედე, გავასუფთავე ჩემი შვილი და იმედიანად გავწიე ქალაქისაკენ.

***

სოსოსთვის ეს პირველი ამბავი იყო, რომ გორიდან გარეთ გავიდა. მატარებელში რომ ჩავსვი, უხაროდა, სტოკავდა, სულ ფანჯრიდან იყურებოდა. ძალიან მოეწონა მატარებელი. რამდენ სადგურზე შეჩერდება მატარებელი, იმდენს მეკითხებოდა, ვერ მივედითო. ძალიან ეჩქარებოდა, ვენაცვალე, ქალაქში მისვლა და თავისი ბედის გადაწყვეტა.

ავჭალას რომ მივუახლოვდი, უცბად ჩემმა შვილმა მოინყინა, თვალზე ცრემლი მოაწვა და ჩუმი ტირილი ასტეხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული გამისკდა, ავად ხომ არ გამიხდა-მეთქი.

– რა დაგემართა, შვილო, რა გაგიჭირდა? – შეეკითხე და გულზე მივიკარ მისი თავი. მაგრამ რის ავადმყოფობა, თურმე მას სხვა დარდი აწუხებდა.

– დედილო, ქალაქში რომ მივალთ, მამა მომნახავს, მომიტაცებს და მეჩექმეობას მომინდომებს. მე კი სწავლა მინდა. თუ ასე მომექცევა, თავს მოვიკლავ და მეჩექმეობას არ ვინდომებ.

მივუხვდი გულისპასუხს. მხურვალედ ვაკოცე და ცრემლები მოვწმინდე.

– თავი რად უნდა მოიკლა, შვილო, – ვეუბნები, – სანამ დედა ცოცხალი გყავს, ხელს ვერავინ შეგიშლის სწავლაში. შენს თავს არავის დავანებებ.

ასე დავამშვიდე ჩემი შვილი.

ქალაქში ძალიან კარგ დროს მივედით. დილის თერთმეტი საათი იქნებოდა. ჩემს ბიჭიკოს ქალაქის დიდმა მოძრაობამ მოსჭრა თვალი, მაგრამ ეს არაა მთავარი: ეხლა მე გადმომედო იმის შიში, სულ ბესო მელანდებოდა – ათასმა შიშის ქარმა დამბერა, მართლა, ბესო საიდანმე არ გამოტყვრეს და შვილის გამო ჩხუბი არ ამიტეხოს-მეთქი. გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. მაგრამ განა რას ვეტყოდი ისედაც შეშინებულ ჩემს შვილს. ყველა ცუდი წარმოვიდგინე და გუნებაში გადავწყვიტე, რა წამს შვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წასართმევად მომეჭრება, ვიკივლებ, ბორბოლ-
ვოის დავიძახებ, ქვეყანას შევყრი-მეთქი. მაგრამ
უსაფუძვლო გამოდგა ჩემი შიში. იმ დღეს ბესო
არსად შეგვხვედრია და მთელმა დღემაც მშვი-
დობიანად ჩაიარა.

***

ქალაქში ჩასვლისთანავე ბინის შოვნას შევუ-
დექი. მართალია, ნათესავები ბლომად მეგულე-
ბოდნენ, მაგრამ მორიდებული ქალი ვიყავი, არა-
ვის შეწუხება არ მინდოდა. ჩემი სურვილი იყო,
ნათესავების შეუწუხებლივ მე თვითონ გამეკვ-
ლია გზა ჩემი შვილისთვის.

ბინა არც ისე ადვილად ვიშოვნე, როგორც
მეგონა. დღე თავზე მაღამდებოდა. ყველგან
ისეთი ბინა მხვდებოდა, რომლის ქირასაც ჩემი
ჯიბე ვერ აიტანდა. ბოლოს ანჩისხატის უბანში,
ქართველოვიანთ ეზოში ერთმა სომხის ქალმა
გამიღო კარი. ნათესაობა მას აგარაკში გაეგ-
ზავნა და მარტოდ დარჩენილიყო, ჩემი მისვლა
გაეხარდა კიდეც, ხმის გამცემი მეყოლებაო და
ერთი ორიოდე კვირით თავისთან შემიკედლა,
შემდეგ, როცა ვუთხარი, თავს გაბეზრებ, უნდა
სხვა ბინა მოვძებნო-მეთქი, არ გამიშვა.

ოცდაორი დღე დავრჩი ამ ბინაზე. კარგი ფეხი
მივუტანეთ მე და ჩემმა შვილმა: ის ქალი იმ თვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გათხოვდა, საქმრო ძალიან კარგი გამოდგა. ეხლა კიო, მეუბნებოდა, ჩემისთანა ბედნიერი ქალი დუნიაზე არ იქნება. სახეგაბრწყინვებული დაფრინავდა. როდესაც ქირის გასწორების დრო დადგა, ითაკილა, მაგითი შეურაცხყოფას მაყენებო. არათუ ქირა გამომართვა, ერთი კარგი ლეჩაქიც მიყიდა, შენ რომ კარგი ფეხი მომიტანე, კეთილი ანგელოზიც შემოგყვა ჩემს გასაბედნიერებლადაო.

რაკიღა სომხის ქალმა ბინა დამითმო, ეხლა სემინარია უნდა მომენახა. აქ კი კიბე იყო საჭირო: ვინმე გავლენიანი კაცი უნდა მენახა, ვინც ამ ძნელ საქმეში დახმარებას გამიწევდა. ერთი შორეული ნათესავი მყავდა, ქალაქში დიდი ხნის ნაცხოვრები. ვიფიქრე, იქნებ იმან როგორმე მიშველოს-მეთქი. გული ასე მიგრძნობდა. მეც იმისკენ გავეშურე და არც მოვტყუვდი, რომ გზად და ხიდად ის ქალი ამოვირჩიე.

ეს ქალი ნარიაანთ გვარიდან იყო, სახელად კატო, რომელიც ერთ ღარიბ დურგალზე იყო გათხოვილი, ივანე კასრაძეზე. მთაწმინდაში ცხოვრობდა. დილით რომ ავდექი, რკინის ჯოხი ავიღე და იმდენი ვიარე, სანამ არ მივაგენი. გაიხარა. მკითხა ჩემი ჩამოსვლის ამბავი, მეც დაწვრილებით გავაცანი ჩემი გასაჭირი და სოსოც იქვე გავაცანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატო მეტად გულკეთილად მიმიღო, დამაიმედა, ნუ გეშინიან, ეგ ისეთი საქმეა, რომ ადვილად მოვაგვარებთო. მართლაც, ჯარასავით დატრიალდა. მე თავის ოთახში დამტოვა, თვითონ მაღლა სართულში აირბინა ისეთ კაცთან, რომელიც, მისი აზრით, დიდ შემწეობას ალმომიჩენდა ჩემი სოსოს გაბედნიერებაში.

იმ დღესვე გამოირკვა, რა კაცთანაც მქონდა საქმე, ან რატომ იყო, რომ კატო ისე იმედიანად მამხნევებდა.

თურმე ნუ ბრძანებთ, ჩვენი კატო ცხოვრობდა მღვდელ ჩაგუნავას სახლში. ეს მღვდელი სემინარიაში ეკონომად ყოფილიყო და დიდი გავლენით სარგებლობდა მასწავლებლებში. კატომ პირდაპირ ჩაგუნავას კი არ მიმართა, არამედ მის მეუღლეს, მაკას, რომელსაც, თურმე, ცოდო და მადლი შეაყარა, ასეთი და ასეთი მშრომელი ქალია ჩამოსული, ნემსის წვერით გამოზრდილი შვილი ჩამოიყვანა, მერე, რა შვილია, მთელი დუხოვნის თვალი არისო; ეხლა იმიტომ გარჯილა, რომ სემინარიაში მიაღებინოსო. ერთი სიტყვით, მოეთაფლა ენა, ჩვენი თავი შეახვეწა, თქვენს დღეგრძელობას, დაეხმარეთ ამ ქალს და ვითომ ერთი ეკლესია აგიშენებიათო.

მაკამ თავისთან დაგვიბარა დედა-შვილი. ძალიან მოეწონა ბიჭი, დამაიმედა, ნუ გეშინიან, შენს შვილს მივაღებინებთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, მეტად ყოჩაღი ქალი გამოდგა მაკა. შეუჩნდა თავის ქმარს, ჩვენი თავი შეაყვარა, ახლა იმანაც გვინახულა, დაგვაიმედა.

მეორე დღეს ჩაგუნავას ენახა თედო ჟორდანია, რომელიც სემინარიაში მასწავლებლობდა და კარგი სახელიც ჰქონდა დამსახურებული. ჟორდანიამ თავის მომხრეებს მიჰმართა. ყველანი დატრიალდნენ. ჩემი სოსო გამოცდებზე დაუშვეს.

მე მეტი არ მინდოდა. რა ერთი ნება დართეს ჩემს შვილს გამოცდებზე გასვლისა, ვიცოდი, იქ როგორც მასახელებდა.

გამოცდები თითქმის ორი კვირის შემდეგ დაიწყო. მანამდე კატოს ვკითხე, რითი შემიძლიან, რომ მაგ ღვთისნიერ დედაკაცს სამაგიერო გადავუხადო-მეთქი. გავიგე, რომ მაკას საბნები ჰქონოდა დასალიანდაგებელი. გამეხარდა. ვთხოვე, რომ ჩემთვის მოენდო ეს საქმე. მაკას არ უნდოდა, რომ მუქთად მემუშავნა, მაგრამ თავი მოვიკალი. საბნები ჩინებულად დავულიანდაგე. დიდი მადლობელი დამრჩა, მაგრამ გროში არ გამომირთმევია.

დაიწყო გამოცდები. ძალიან ვღელავდი. ჩაგუნავა მღვდელი თავისით თვალ-ყურს ადევნებდა ჩემი შვილის ყოველ ნაბიჯს, ემანდ არ შემარცხვინოსო. სამი დღის შემდეგ კატოს პირით შემომითვალა, უძნელესი საგნები ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინებულად ჩააბარა შენმა შვილმა, რომ ეკვე გადაწყვეტილია, სახელმწიფო ხარჯზე მიიღონ, ოღონდ ტანისამოსის ყიდვა თქვენ მოგიხდებათო. გულდამშვიდებით წაბრძანდით გორში და ამ ტანისამოსის ფულზე იზრუნეთო.

ტანისამოსს ვინა სჩიოდა. ჩემზე ბედნიერი დედა ქვეყნიერებაზე ერთიც აღარ მეგულებოდა. აღტაცებული გავფრინდი გორში, დავატრიალე ნემსის წვერი. ვცდილობდი, საჩქაროდ მომეკრიბა ერთი ასიოდე მანეთი და ჩაგუნავას სახელობაზე გადამეგზავნა სემინარიაში შესატანად. მაგრამ ორ დღესაც არ გაევლო, რომ იმავე ჩაგუნავა მაკამ დეპეშით გამახარა, შენმა შვილმა ისე გასახელათ, რომ სულ სახელმწიფო ხარჯზე მიიღეს და შენ ნურაფერზე შესწუხდებიო.

ასე გამაბედნიერა ჩაგუნავამ. ასე მეგონა, მთელი ქვეყანა მაჩუქა-მეთქი. ერთი თვის შემდეგ სოსო სემინარიის ფორმაში გამოწყობილი ვნახე და სიხარულით ბევრი ვიტირე.

***

პირველ ხანებში დიდად ვდარდობდი. მთელ ღამეებს ვათავებდი ფიქრებსა და ცრემლებში. ძნელი იყო ჩემთვის სოსოს გაშორება. სახლში გამეფებულ სიცარიელეს ველარ ვუძლებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი უბრალო ძველებური საათი დავიდა კედელზე, რომ მის წიკწიკს გამოვეფხიზლებინე. არასოდეს არც შემიმოწმებია და არც გამისწორებია, რომელ საათზე იდგა, სწორედ დადიოდა თუ არა. დიდ საქმედ მიმაჩნდა, რომ ყოველ დილით გირები ჩხარაჩხურით მაღლა ამეწია და საათს წიკწიკი არ შეეწყვიტა. ჩემი ხმის გამცემი ეხლა ეს იყო, სხვა არავინ.

ჩემი სოსო ჰგრძნობდა, რა ძნელი იქნებოდა ჩემთვის მარტოობა. მართლაც, აუტანელი რამ იყო, რომ ისე ეულად ვიჯექი მდუმარე ოთახში. ამიტომ იყო, რომ ჩემი შვილი კვირაში ორ-ორჯერ მწერდა წერილს, მამხნევებდა, მანუგეშებდა, მალე გაჭირვებიდან ამოგიყვანო. თითოეული წერილი ასი წლის სიცოცხლეს მმატებდა. ჩავიკრავდი გულში და ღამითაც ერთად ვიძინებდი. ყოველდღე უსათუოდ უნდა გადამეკითხა თითოეული მათგანი: ჯერ უკანასკნელად მიღებულ წერილს ვკითხულობდი, შემდეგ იმის წინად მოსულს და ასე შემდეგ, ვიდრე სულ არ მოვრჩებოდი. ბოლოს დავკოცნიდი სათითაოდ, გამოვახვევდი ბაღდადში და საგულისგულოდ ვინახავდი ხოლმე, რომ სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ ხელახლა გამეშალა და გადამეკითხა. ღამღამობით, როდესაც მათ ვკითხულობდი, ყოველთვის ჩემი შვილი მელანდებოდა ისე კანთილად, ისე ხორ-

ციელად, თითქოს აგერ-აგერ უნდა მოვიდეს
და გადამეხვიოს, სწორედ იმ სახით, როგორაც
უკანასკნელად გამომემშვიდობა სემინარიის
ფორმაში გამოწყობილი.

***

სოსო სემინარიაშიც კარგად სწავლობდა. გულის ფანცქალით ველოდი ყოველ შობა-ახალწელიწადს და აღდგომას, რადგან ჩემს ბიჭს ორ-ორი კვირით უშვებდნენ ხოლმე დასასვენებლად. მაგრამ ვატყობდი, რომ ჩემი სოსო უკვე ის სოსო აღარ იყო, ტუჩზე გინგლი რომ არც კი ეტყობოდა, არამედ უკვე დავაჟკაცებული, წვერ-ულვაშიანი. ჩემი ნემსის წვერით გამოზრდილი ასეთი ვაჟკაცის დანახვაზე თავს როდი ვუჯერებდი, ნუთუ ეს მე გამოვზარდე-მეთქი. ისიც გრძნობიერად მეხუტებოდა გულზე, თითქოს ხუთი წლის ბიჭი ყოფილიყოს. მაგრამ იმასაც ვატყობდი, რომ ჩემი შვილი რაც ვაჟკაცობაში შედიოდა, იმდენად გულჩათხრობილი ხდებოდა და არც ისე დიდხანს რჩებოდა ხოლმე ჩემსას. მახსოვს, პირველად რომ საშობაოდ მეწვია, მან თავისი ულუფიდან გადარჩენილი შაქარიც კი მომიტანა ხელსახოცში გამოკრული. სულ მუჭა-ნახევარი იქნებოდა, მაგრამ ისე გამახარა ამ პატარა ძღვენმა, რომ მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელიწადი გამოვიზოგე. პატარ-პატარა კვიცებ-ბით პირს ვიტკბარუნებდი, რომ ჩემი შვილის სურნელი მეგრძნო ხოლმე. მაშინ, იმ პირველ ხანაში, ისიც სულ ჩემს სიყვარულში იყო, როდი მშორდებოდა, მკოცნიდა და მაიმედებდა, რომ მალე ამომიყვანდა ტანჯვა-სილარიბიდან. მე კიდევ ვეუბნებოდი, შენ იცოცხლე, შვილო, შენ შენი საქმე წაიყვანე კარგად და მე შენი ჭირის სანაცვლოდ ვიყო-მეთქი.

მაგრამ რაც დრო მიდიოდა, შემდეგ და შემდეგ არდადაგებზე ისეთს აღფრთოვანებულ იმედებს ძვირად იმეტებდა, თითქოს გამირბოდა კიდეც, ემძიმებოდა სიტყვის თქმა, გულის გადაშლა. პირიქით, სცდილობდა, ნაკლებად ელაპარაკნა ჩემთან და მალე გამქცეოდა სახლიდან.

ნელ-ნელა აქეთ-იქიდან ჩურჩული ასტეხეს და ბოლოს აშკარად გამაგონეს, სოსო ბუნტი კაცი გახდაო. გული გამისკდა. ბუნტი კაცი, ვიცოდი, რომ ყოველთვის დევნილი იყო. ჩემს შვილში ეპისკოპოზს მოველოდი და რა ეშმაკმა შეაგონა ბუნტი კაცობა-მეთქი. ჩიხტი წამოვიდგი, გავქანდი ქალაქში. ვინახულე. გამწყრალი დამხვდა, რა მოგარბენინებდა, ან რა შენი საქმეა, რას ვიზრახავ და რას არაო. ძალიან მეწყინა მისი ასეთი მკვახე პასუხი. ასეთი რამ პირველად შემახვედრა ჩემს სიცოცხლეში. შვილო! – შევბღავლე, – არ დამ-ღუპო, დედისერთა ხარ, ნიკოლოზს შენ როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯობებ, თავი გაანებე ბუნტობას, ეგ იმაზე დაუთ-
მე, ვისაც შინ სხვა და-ძმები ეგულება-მეთქი.

სოსომ თავს დასძლია, ისევ გრძნობაზე მოვ-
იდა, მაკოცა, დამამშვიდა, მოუტყუებიხართ,
დედი, ხომ მხედავ, მე ისევ სემინარიაში ვარ,
არც ვბუნტობ და არც არაფერიო. ასეთი კაცი
რომ ვიყო, მეტეხში თავს გამიკრავდნენო. ეს იყო
იმისი პირველი ტყუილი. ისე დაიმედებულს მომ-
წმინდა ცრემლი და ისევ გორისკენ გამისტუმრა.

მაგრამ გამართლდა მეზობლების ჩურჩული.
სოსოს მართლა სულ სხვა გზა აერჩია, რისთვი-
საც სემინარიას ფეხი ჰკრა და მიაგორა. შემდეგ
გაერთო მუშებში სიარულით. სულაც აღარ მნა-
ხულობდა, გამიგარეულდა. ბოლოს მესმის, შენი
შვილი ბუნტობისთვის ციხეში წააბრძანესო.

ამ ამბავმა ცეცხლი წამიკიდა. წიოკობით გავქა-
ნდი ქალაქში. მე მეგონა, მეტეხის ციხეს რომ
მივადგებოდი, მაშინვე ჩემს შვილს კარს გაულე-
ბენ და თან გამომატანენ-მეთქი. მაგრამ იქ უფრო
მეტი უსიამოვნება დამატყდა, ვიდრე ამას წარ-
მოვიდგენდი.

ჯერ იყო და ძალიან უიღბლოდ ვიმგზავრე.
ქალაქში რომ მივედი, სად იყო და სად არა, ბესომ
პადვლიდან თავი ამოჰყო, მომკრა თვალი, გამო-
მიდგა და გზა გადამიღობა. შეზარხოშებული
იყო, გული გამისკდა, ეს რა ეშმაკის ფეხზე
წამოვსულვარ-მეთქი, ზურგი შემოვაბრუნე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ უსიამოვნებისთვის თავი ამეცილებინა, მაგრამ ბესომ აღარ დამაცალა:

– სად მიხვალ, სად, მოიცა, – მომდევდა უკან და თან სასტიკად ილანძღებოდა, – გაჩერდი, თორემ სისხლი მოვიდა ყელში...

ვიფიქრე, ქალი ვარ, სად გავექცევი, ემანდ მართლა დანით არ მომკლას-მეთქი და შევჩერდი. ბესო ასე საშინელი არასოდეს არ მინახია. მუშტებს ჰკუნთავდა, საომრად ემზადებოდა.

– შე ასეთ-ისეთო, – მეუბნება, – რა უყავი ჩემი შვილი? რად წამართვი, თუ პატრონობა არ შეგეძლო? რად მინდოდა მაგისი სწავლა? მაგას უნდა, რომ ქვეყანა ამოაგდოს და გადაატრიალოს. არ იცოდი, რომ ამას არ აპატიებდნენ? ეს სულ შენ ხარ დამნაშავე, სულ შენ.. შენი პეიტრობით დამლუპე და დამანელე, რომ არ ატეხილიყავი და სასწავლებელში არ მიგეცა, ეხლა ეგ გაჩესტილი უსტაბაში მეყოლებოდა, ეხლა კი ციხეში გამომწყვდეული ზის. რად მინდა ნაციხარი შვილი? მამა არ ჰყოლია „რაზმონიკი" და ის რად უნდა იყოს? მე თვითონ მოვკლავ მაგისთანა შვილს... მე თვითონ გავუსწორდები ჩემს შემარცხვენელს...

ვინ იცის, კიდევ რა არა სთქვა, როგორ არ დამემუქრა. რა ჯანი იყო, შევბმოდი? არ იქნებოდა. ხალხმა თავი მოიყარა. სირცხვილი იყო. ისე კი დამშვიდებით ვუთხარი, აგრე რად ლაპარაკობ, ეგ ნაციხარი შვილი ისევ ჩემი იყოს, ისევ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე შემარცხვინოს-მეთქი. ამ სიტყვებით დაშორდნენ ორდით ერთმანეთს.

მეტეხში შვილი არ მაჩვენეს. მაგრამ ჩემმა სოსომ მაინც მოახერხა და ერთი კაცის საშუალებით შემატყობინა, არ შეშინდე, მე კარგად ვარ და სულ მალე გინახულებო. ვენაცვალე, შემდეგშიც სულ ასე იცოდა ხოლმე. როცა კი უბედურება დამტეხია და ან დაუჭერიათ, ან გაუციმბირებიათ, მუდამ თავის ამბავს მატყობინებდა ხოლმე ვისიმე პირით. ეხლა კი მოვრჩი უბედურებას. ჩემი „ნაციხარი" შვილის ამბავი ხომ ქვეყანამ იცის. ის ჯანმრთელია და ეს მახარებს. რა ბედნიერებაა, რომ გულის წადილი აისრულა და ყველა ჩაგრულის მეთვალყურე და მფარველი შეიქმნა. ნეტავი ბესოც მოსწრებოდა ამ ჩვენი სიამაყის ნახვას. ენაცვალოს დიდედა, ჩემი სოსო დიდად დატვირთულია, მაგრამ არც ეხლა მივიწყებს და პატარა დროს იპოვნის თუ არა, მამხნევებს ხოლმე. აი, ეხლაც ნათელას სურათი მივიღე... ენაცვალოს დეიდა, სამაგიეროდ მეც კაკლის მურაბა გავუგზავნე. ეხლა ეს პატარა სურათი სულ გულთან მაქვს მიხუტებული. ესაა ჩემი ტკბილი სიზმრების მომგვრელი, რომ ჩემი დამტირებელი ეს იქნება...

ჩაწერილია 1935 წელს, 23-25-27 მე-8 თვე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასალები სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ფოტოფონდიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი.ბ. სტალინის დედა – ეკატერინე გელაძე- ჯუღაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი.ბ. სტალინი გორის
სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე, 1892 *წელი*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ბ. სტალინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. სტალინის მამა ბესარიონ ჯუღაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუშათა სახლი, სადაც ი.ბ. სტალინი მართავდა კრებებს



სტალინის მამის სამუშაო დაზვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი.ბ. სტალინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორი, სახლი (მარცხნივ), სადაც დაიბადა ი.ბ. სტალინი, სურათი გადაღებულია სახლის რესტავრაციამდე, 1934 წელს

ი.ბ. სტალინის სახლის მაკეტი

ი.ბ. სტალინი, გორის სასულიერო სასწავლებელი,
1893 *წელი*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

И. В. Сталин (третий в верхнем ряду) среди учащихся Горийского духовного училища 1892 г.

ი.ბ. სტალინი (მეოთხე ზედა რიგში) გორის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებთან ერთად, 1892 წელი

ი.ბ. სტალინი გადასახლებაში, 1903 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტალინი, წულუკიძე, ცხაკაია, დიასამიძე, დავითაშვილი და სხვები, რსდრპ-ს კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ.თბილისის ობსერვატორია, სადაც მუშაობდა სტალინი
1899-1901 წლებში

ამ სახლში (სულხან-საბას ქ. 3) 1906-1907 წლებში
ცხოვრობდა ი. ბ. სტალინი. მისი ბინა წარმოადგენდა
თბილისის ბოლშევიკების ერთ-ერთ კონსპირაციულ პუნქტს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტალინის სახლი გორში



გორის სასწავლებლის შენობა, სადაც სწავლობდა ამხ. ი.ბ. სტალინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვებს ი.ბ. სტალინის დედამ გადასცა საჩუქარი.
(სურათი გადაღებულია რკინიგზაზე)

J 409/2

ი.ბ სტალინის შეხვედრა დედასთან. ნახატი

65.8(42)
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ წიგნში მკითხველი სტალინის დედის, ეკატერინე (კეკე) გელაძე-ჯუღაშვილის, მოგონებებს გაეცნობა. მოგონებები ჩაწერილია 1935 წელს თავად ეკატერინე ჯუღაშვილის კარნახით. დედა დაწვრილებით საუბრობს სტალინის ბავშვობაზე და იმაზეც, როგორ შეხვდა თავად შვილის არჩევანს.

აქ მოთავსებული დოკუმენტური მასალა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივშია დაცული, ისტორიული მნიშვნელობისაა. მკითხველს საშუალება ეძლევა სრულად გაეცნოს მოგონებებს, რომლებიც ეკატერინე (კეკე) გელაძე-ჯუღაშვილის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრეა ჩაწერილი.

ფასი 5.90 ლარი
www.sulakauri.ge
ISBN 978-9941-15-585-7
9 789941 155857
facebook.com/bakursulakauripublishing